# ლელო

**№ 31**
(11 283)

27 – 29 აპრილი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


**ხვალ, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფის გადამწყვეტი შეხვედრაა – საქართველოს ნაკრები ნორვეგიის ნაკრებს უმასპინძლებს!**

## ამბიციური „ვიკინგები“

როდესაც ცნობილი გახდა, ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის შემადგენლობა, კარგად მოგეხსენებათ, ყველა მიმომხილველმა ფავორიტად ნორვეგიის ნაკრები აღიარა. რატომ? თუნდაც იმ ფორმალური მოტივით, რომ ნორვეგიის ნაკრები ერთადერთი იყო, რომელიც მსოფლიო პირველობის ფინალურ ტურნირში მონაწილეობდა. ამასთან, ყველას კარგად ახსოვდა, რომ ნორვეგიელებმა ორჯერ ზედიზედ სძლიეს ბრაზილიელებს: ჯერ ამხანაგურ მატჩში, შემდეგ კი მსოფლიო პირველობაზეც!

როცა ევროპის პირველობის შესარჩევი თამაშები დაიწყო ახალ მწვრთნელ ნილს-იოჰან სემბის (მან ადრინდელი მწვრთნელი, შესანიშნავი სპეციალისტი ეგილ ულსენი შეცვალა) გუნდს იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ რეზო ძოძუაშვილის ლატვიელებთან. ჟურნალისტებს მოჰყავდათ ასეთი მაგალითი: ბოლო 7 წელიწადში ოსლოში ჩატარებული 31 მატჩიდან (აქ კი, ვინ იცის, ვინ არ ითამაშა!) მასპინძლებს არც ერთი არ წაუგიათ. მეორე – აქამდე ლატვიის ნაკრებს რაიმე ამბიცია საერთოდ არა ჰქონია. თვით ძოძუაშვილის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ლატვიის ფეხბურთის მესვეურები კმაყოფილნი რჩებოდნენ, როცა მათი ნაკრები დიდი ანგარიშით არ აგებდა! და აი, ასეთი წინაპირობებისას, მაშინ, როდესაც ნორვეგიის ნაკრები თავისი უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდა, მან „მოახერხა“ მატჩის წაგება: 1-3. ეს შეიძლება ითქვას, უდიდესი სენსაცია იყო. აი, რა განაცხადა ნილს-იოჰან სემბმა: „ეს 90-წუთიანი კოშმარი იყო“. თვით ნორვეგიელი მიმომხილველები აღნიშნავდნენ, რომ სტუმრები „უფრო ტექნიკურები იყვნენ, უფრო გონივრულად მოქმედებდნენ“.

იხ. მე–4 გვ.

**საქართველოს ეროვნული ნაკრები** | **ნორვეგიის ეროვნული ნაკრები**

**«ლელოს» ვერსიით**







## ლუკაშენკომ ბელარუსში ყველა ლატარია აკრძალა... „სპორტლოტოს“ გარდა

### ბატონო საქართველოს პრეზიდენტო, გთხოვთ, თქვენც გადაარჩინოთ სპორტი

წლეულს, იანვრიდან, ბელარუსში აღსდგა საბჭოთადროინდელი (უკვე რესპუბლიკური) „სპორტლოტო“, რომლის აღორძინებაში, ინვესტიცია ჩადო შვეიცარიის ფირმა „მაგალმა“. ქვეყნის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ კი გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმად ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას აეკრძალა ლატარიების გათამაშება, რაც დაუყოვნებლივ შესრულდა.

ასე რომ, ბელარუსმა გამონახა ქვეყანაში სპორტის აღმავლობის იდეალური შესაძლებლობა. ჩვენში ამ საკითხზე რამდენიმე წელია გრძელდება მსჯელობა, მაგრამ სამთავრობო სტრუქტურებში საქმე დაპირებებს არ სცდება.

**მეტი გამოსავალი არ არის, ამ საკითხშიც თქვენ უნდა ჩაერიოთ ბატონო საქართველოს პრეზიდენტო. ამას ქართული სპორტის ტრადიციები, აწმყო და მომავალი გემუდარებათ!**

## II შესარჩევი ჯგუფი:

სატურნირო მდგომარეობა 27 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლატვია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 2. ნორვეგია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 3. საბერძნეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-4 | 6 |
| 4. სლოვენია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 5. საქართველო | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 6. ალბანეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |


ნორვეგიის ეროვნული ნაკრები

## კალათბურთის ამბები

კვიპროსიდან მიღებული ცნობით, ნიქოზიაში ევროპის შესარჩევ ტურნირში მოასპარეზე ჩვენმა კადეტთა ნაკრებმა პირველი შეხვედრა 5 ქულის სხვაობით წააგო ფრანგებთან (საქართველოს ნაკრები ტურნირზე ჩასვლისთანავე, 1 საათში გავიდა მოედანზე) შემდეგ მოუგეს ესპანელებს და ბელგიელებს შესაბამისად 9 და 15 ქულის სხვაობით. დარჩენილი ორი მატჩიდან კი ერთის მოგებაც საკმარისია, რომ ჩვენებმა ფინალურ ეტაპზე ითამაშონ.

დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

***

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. „დინამო“–ასკ 86:69, „ვითა“ – „შევარდენი“ 80:72, „აზოტი“ – „მაკაბი“ 89:76.

მოსკოვში გამართულ მკლავჭიდელთა დიდ საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვებით გაამდიდრა თავისი სპორტული ნადავლი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა – *ვახტანგ ჯავახაძემ.*


ვახტანგ ჯავახაძე



ატლანტაში ოლიმპიური თამაშების გმირმა ალენ ჯონსონმა (სურათზე) ბრაზილიის გრან-პრის გათამაშებაში 110 მეტრზე თარჯრბენში (13,57) მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა. პირველი იყო ასევე ამერიკელი ლარი ვეიდი (13,49).

ემირატებში გამართულ ქალთა საჩოგბურთო ტურნირში გამარჯვებულმა არანტა სანჩესმა მთავარი პრიზის მიღების შემდეგ (ფინალში დაამარცხა რუმინელი ირინა სპირლეა 6:1, 6:0) აქლემით გაისეირნა.



## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)

XXIV ტურის შემდეგ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 24 | 19 | 5 | 0 | 73-12 | 62 |
| 2. ტორპედო | 24 | 16 | 4 | 4 | 57-21 | 52 |
| 3. ლოკომოტივი | 24 | 13 | 10 | 1 | 31-12 | 49 |
| 4. დინამო (ბთ) | 24 | 10 | 9 | 5 | 33-17 | 39 |
| 5. კოლხეთი | 24 | 11 | 5 | 8 | 49-35 | 38 |
| 6. მერანი | 24 | 9 | 9 | 6 | 23-21 | 36 |
| 7. იბერია | 24 | 9 | 5 | 10 | 37-39 | 32 |
| 8. დილა | 24 | 9 | 5 | 10 | 29-37 | 32 |
| 9. ვიტ-ჯორჯია | 24 | 10 | 4 | 10 | 29-23 | 31 |
| 10. არსენალი | 24 | 6 | 10 | 8 | 27-40 | 28 |
| 11. სამგურალი | 24 | 7 | 3 | 14 | 22-43 | 24 |
| 12. თსუ | 24 | 5 | 9 | 10 | 17-26 | 24 |
| 13. გორდა | 24 | 5 | 9 | 10 | 20-34 | 24 |
| 14. სიონი | 24 | 5 | 6 | 13 | 20-43 | 21 |
| 15. ოდიში | 24 | 6 | 2 | 16 | 18-45 | 20 |
| 16. გურია | 24 | 3 | 3 | 18 | 23-61 | 12 |

*ვიტ-ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა.*

იხ. მე–3, 5 გვ.

**პროფესიული კრივი**

## ესეც მეშვიდე...


გიორგი კანდელაკი

**ქართველი პროფესიონალი მოკრივე გიორგი კანდელაკი ნელ-ნელა უახლოვდება ევროპის საუკეთესო პროფესიონალთა ათეულს. როგორც ვიცით, კანდელაკი, ჯერჯერობით, სარეიტინგო ეგაას გადის და ორიოდ დღის წინ ამ ეგაპის მორიგი, მე-7 ბრძოლა გაიმართა ინგლისში.**

გიორგიმ ამჯერადაც გაახარა ქომაგები. მან მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა სლოვაკი მოკრივე პასლიკი. პასლიკს ამ შეხვედრამდე 11 ბრძოლა გაემართა პროფესიულ რინგზე და 9 გამარჯვება ეზეიმა, მას ქართველ მოკრივესთან დამარცხება-

იხ. მე–2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესეც მეშვიდე...

*(პირველი გვერდიდან)*

მდე ნოკაუტით არ წაეგო არც ერთი შეხვედრა, კანდელაკმა კი ნოკაუტიც აგემა.

ეს ორთაბრძოლა ჩვენებურის უპირატესობით წარიმართა. პირველივე რაუნდი გიორგის იერიშებით დაიწყო, მაგრამ იგი ფრთხილობდა და ჩვეულ სტილს არ უღალატა: პირველი რაუნდი მეტოქეს ჩანაფიქრის შესწავლას მოანდომა, მეორე რაუნდიდან კი თავისი გეგმის რეალიზაცია დაიწყო. მისი გეგმა კი მუდამ ასეთია: ცდილობს, მეტოქე რაც შეიძლება მალე ჩააგდოს ნოკაუტში, პარალელურად, მომგებიან ქულებზე მუშაობს. თუ გაუმართლა და ნოკაუტით გაიმარჯვა, ხომ კარგი, არადა, ბრძოლის მიწურულს თავად თავდაცვას იშველიებს და მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებისათვის იბრძვის.

ამჯერად, გაუმართლა კანდელაკს და პასლიკი, როგორც მოგახსენეთ, მის გეგმას კარგად მოერგო და მეორე რაუნდშივე ნოკაუტში გააგზავნა. ეს გიორგი კანდელაკის ზედიზედ მე-7 გამარჯვებაა პროფესიულ კრივში.

მორიგ, მე-8 ბრძოლას გიორგი 22 მაისს გამართავს, სავარაუდოდ, კვლავ ინგლისში. ჯერჯერობით, მისი მომავალი მეტოქის ვინაობა უცნობია. კანდელაკი დღეს დაბრუნდება საქართველოში, 4 მაისს კი ისევ ლონდონს მიაშურებს და იქ ლენოქს ლუისის კრივის კოლეჯის ბაზაზე მომავალი ორთაბრძოლისთვის მოემზადება.

გიორგი კანდელაკის ქომაგებს შევახსენებთ მის მიერ განვლილ გზას პროფესიულ კრივში. შევახსენებთ იმასაც, რომ კანდელაკმა პირველი პროფესიული ბრძოლა შარშან, 1998 წლის ივლისში გამართა ინგლისში.

***1. გიორგი კანდელაკი — ტომ უილიამსი (ინგლისი)***

სადებიუტო შეხვედრაში კანდელაკმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — თავისზე გამოცდილი ბრიტანელი მე-2 რაუნდში გაგზავნა ნოკაუტში:

***2. გიორგი კანდელაკი — სტივ არჩერი (აშშ)*** შეხვედრა კალიფორნიის შტატში, პატარა ქალაქ ბიგ-ბეიში ჩატარდა იმავე დღეს და იმავე რინგზე, სადაც ლენოქს ლუისმა თავისი საჩემპიონო სარტყელი დაიცვა ხორვატ ზელკო მავროვიჩთან და გაიმარჯვა.

სტივ არჩერი მაიკ ტაისონის ცნობილი კლუბის წევრი და მისი უსაყვარლესი მოწაფეა. მას ქართველთან შეხვედრამდე 21 ბრძოლა ჰქონდა ჩატარებული და ყველა მოეგო. კანდელაკმა მასაც წინამორბედის, ტომ უილიამსის ბედი გაუზიარებინა მე-2 რაუნდში.

***3. გიორგი კანდელაკი — იური ივანოვი (ბულგარეთი)***

ჯერჯერობით, ეს ერთადერთი პროფესიული შეხვედრაა, რომელიც კანდელაკმა სძლია თბილისის სპორტის სასახლეში გამართა. ივანოვსაც არ ჰქონდა თბილისში ჩამოსვლამდე მარცხი ნაგემი — 6 შეხვედრა მოეგო. კანდელაკმა არ უღალატა კარგად დაწყებულ ტრადიციას და ივანოვსაც მე-2 რაუნდში სძლია ნოკაუტით.

***4. გიორგი კანდელაკი — იგანდუ ბა იგანდუ (საფრანგეთი)***

აფრიკული წარმოშობის ფრანგი იგანდუ ბა იგანდუ ბევრს იქადნიდა, მაგ ჩვილი პროფესიონალის, ვილაც კანდელაკის ნოკაუტების სერიალს შევაჩერებო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ლონდონის მახლობლად, ქალაქ ჩესტერში იგანდუ მე-2 რაუნდში წამოგორდა რინგზე და მსაჯებმა ნოკაუტი დააფიქსირეს.

***5. გიორგი კანდელაკი — ხუსაშიკი (ჩეხეთი)***

საერთოდ, სტივ არჩერთან და იური ივანოვთან ბრძოლების გარდა, კანდელაკმა დანარჩენი შეხვედრები ინგლისში გამართა. ჩეხი ხუსაშიკი ფიზიკურად ყველაზე ნაკლული იყო კანდელაკის მეტოქეთაგან — 1,75 სმ სიმაღლის კაცი 110 კილოგრამს იწონიდა. 16 ბრძოლიდან მხოლოდ 1 მარცხი ჰქონდა განცდილი.

აქ კანდელაკმა „უღალატა“ ტრადიციას და მეორე რაუნდის ნაცვლად პირველსავე რაუნდში დაამთავრა შეხვედრა — 93 წამზე მის უძლიერეს აპერკოტს ხუსაშიკის ნოკაუტი მოჰყვა.

***6. გიორგი კანდელაკი — რობერტ დევიდსონი (ინგლისი)***

ეს ბრძოლა ლონდონში გაიმართა და წინა შეხვედრებისაგან განსხვავებით, ჩვენს მოკრივეს ქომაგები არ აკლდა. ლონდონის დარბაზში მრავლად იყვნენ იქაური უმაღლესი სასწავლებლის ქართველი სტუდენტები, ინგლისში მოსაქმე ქართველი პოლიტიკოსები და ბიზნესმენები.

დევიდსონი კერკეტი კაკალი გამოდგა. მან კანდელაკის ყველა დარტყმას გაუძლო და რინგზე არ „ჩაუძინია“. თუმცა, გიორგიმ არ გააწბილა თავისი მცირერიცხოვანი ქომაგები და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა — 102:5. ეს ანგარიში კი, დამეთანხმებით, ნოკაუტის ტოლფასია.

ლევან ჯავახიშვილი

**პირველი, პირველმა, პირველად...**

# სოფიო ახმეტელი — მამაკაცებშიც უძლიერესი

როგორც ვიუწყებოდით, გუდაურში ახლახან გაიმართა საქართველოს პირველობა სამთო-თხილამურებში. იქ უკონკურსოდ მონაწილეობდა პირველი ქართველი ოლიმპიელი ქალი სოფიო ახმეტელი, რომელიც წლეულს 18 წლისა გახდა.



„ლელოს“ კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა ქალთა შორის ჩვენი ქვეყნის №1 სამთომოთხილამურეს.

● ***სოფიო, თქვენ უკვე 18 წლისა გახდით, სკოლა დაამთავრეთ, რას აპირებთ?***

— თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარებ უცხოური ენების ფაკულტეტზე.

● ***ალბათ არ გაგიჭირდებათ გამოცდების ჩაბარება, განსაკუთრებით, სპეციალობაში. თქვენ ხომ რამდენიმე წელია მეტ დროს უცხოეთში ატარებთ, იქ ემზადებით და მონაწილეობთ შეჯიბრებებში...***

— დიახ, ასეა. სამწუხაროდ, საქართველოში სპორტში არც მომზადების პირობებია და არც კონკურენციაა, ოსტატობა რომ აიმაღლო.

● ***„ლელოს“ მკითხველებმა იციან თქვენს ადრინდელ გამოსვლებზე. ბოლო ხანებში სად ასპარეზობდით?***

— მარტში, გერმანიაში, ქ. ზეელფელდში ამ ქვეყნის ღია პირველობაში გამოვედი. ბევრი უცხოელი მონაწილეობდა ჩემს გარდა. დავიკავე VIII ადგილი და კმაყოფილი დავრჩი. აპრილში კი, თურქეთში საერთაშორისო ტურნირში ჩავები და არა მხოლოდ ქალებში, საერთო შედეგით მამაკაცებშიც კი უძლიერესი აღმოვჩნდი.

● ***უცხოეთში თვეობით ემზადებით. ყოველდღიურად დიდ დროს ახმართ ვარჯიშს?***

— მეტწილად იტალიაში და ავსტრიაში ვატარებთ სეზონს. დღეში 8 საათი ვმეცადინეობ, რაც, დამეთანხმებით, მომქანცველია.

● ***ჩვენი გაჭირვებული ქვეყანა ალბათ ფინანსურად ვერ დაგეხმარებათ, ვინ არის თქვენი შემწე?***

— ყველაფერს აგვარებს ფედერაცია და მისი ხელმძღვანელები, ბატონები გოგი თოფაძე და ლევან პირველი, სპორტის დეპარტამენტი და უფროსი მწვრთნელი გერა აბრამიშვილი, ცხადია, მათ უცხოელი მეგობრებიც უდგანან მხარში.

● ***სეზონი დამთავრდა. თქვენ შინ დაბრუნდით. ახლა, ეტყობა მთავარი საზრუნავი უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარებაა...***

— ეს თავისთავად, მაგრამ ვარჯიშს ვაგრძელებ — დღეში 4-5 საათს დავუთმობ საერთო ფიზიკურ მომზადებას. ასეთი გვაქვს გეგმა. თავს შელავათს ვერ მივცემ. ძალიან მიყვარს არჩეული სპორტის სახეობა.

● ***თქვენ ახლა, გარდა იმისა, რომ თავადაც გამოხვედით ტრასაზე, თვალყურს ადევნებდით ნორჩი მოთხილამურეების ასპარეზობას, თქვენი ბავშვობა ხომ არ მოგაგონდათ, ვინ შეგიძლიათ გამოყოთ?***

— პარალელი გონებაში მართლაც გავავლე. გამახსენდა, 12 წლისა ვიყავი, როცა აქ, გუდაურში ვატო ფიფიას მემორიალი მოვიგე. ჩემი ყურადღება მიიპყრო თამარ რობაქიძემ, რომელიც ახლა სწორედ 12 წლისაა და უძლიერესი გახდა სლალომსა და გიგანტსლალომში. თამრიკო გამოკვეთილად ნიჭიერი გოგო ჩანს და ძალიან მსურს მან თავისი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ასპარეზზე.

ესაუბრა სოფიო ხეთაგაშვილი,
„ლელოს“ სპეც. კორ., გუდაური.

*ქვეტექსტი — პოლიტიკა*

# ამერიკელებმა ირანელებთან მარცხი გულში ჩაიხვიეს

## ანუ აზიური ეშმაკობა მოზომილი დიპლომატიის წინააღმდეგ

1979 წელს ირან-აშშ-ს შორის პოლიტიკურ ნიადაგზე ურთიერთობის გამწვავების შემდეგ, ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობა ყველა სფეროში შეწყდა, ცხადია, სპორტშიც. მაგრამ არა ორმხრივი შეთანხმებით, არამედ საფეხბურთო ფორტუნის წყალობით, ამ ორი ქვეყნის გუნდები, როგორც იცით, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ და მოხდა სასწაული — ეს პაექრობა, რომელსაც პოლიტიკური ყურადღება უფრო მიეცა, ვიდრე სპორტული, ირანელთა ტრიუმფით დამთავრდა. როგორც ჩანს, ამერიკელებს ამის შემდეგ მოსვენებას არ აძლევს რევანშის წყურვილი, თანაც, ვინ იცის, კიდევ როდის გადაეყრებიან ისინი ოფიციალურ მატჩში ერთმანეთს, ამერიკელებს კი „სამარცხვინო ლაქა“, რაც შეიძლება მალე სურთ ჩამოირეცხონ. თავაზიანობით შეფარული დიპლომატიით, რომელიც სახასიათოა ოკეანისგაღმელთათვის, „თავმოყვარეობა შელახული“ მხარე ცდილობს დაიყოლიოს ირანელები ამხანაგურ მატჩზე და შესაბამისი მიწვევამიპატიჟებაც გაუგზავნეს. საეჭვოა, რატომ იყვნენ ასე თავდაჯერებულები ამერიკის ფეხბურთის მესვეურები და რატომ ეგონათ, რომ „ეშმაკი აზიელები“ მიწვევას აღფრთოვანებულები შეხვდებოდნენ. მოკლედ, წლეულსვე, ივნისისათვის შეთავაზებულ ამ სტუმრობაზე, ირანელებმა უარით უპასუხეს, თუმცა მიმპატიჟებლებმა სათადარიგოვადაც შესთავაზეს — 2000 წლის იანვარი, რაზედაც აზიელები ჯერ სდუმან, დრო კიდევ ითმენს...

# სამარანჩი დინჯად ჭვრეტს მოვლენებს



ამერიკელთა მიერ ატეხილ ხმაურზე, რომლის ქვეტექსტში დაკვირვებულთათვის აშკარად იკითხება ოკეანისგაღმელთა სურვილი თავისი გავლენის ქვეშ მოაქციონ საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობა, „ლელო“ უკვე წერდა. სოკის პრეზიდენტი სამარანჩი აცხადებს, რომ სოკმა თავისი რიგების ერთიანობის წყალობით უფრო მძიმე დარტყმა გადაიტანა ბოლო ხანებში და ამერიკელთა მუქარა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. სამარანჩი არც იმას მალავს, რომ ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რათა მისი ადგილი სოკში ამერიკელმა დაიკავოს. „მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი ისაა, რომ სპორტში უხეშად ერევა პოლიტიკა“ — აცხადებს სოკის პრეზიდენტი.

# გარდაიცვალა ლორდ კილანინი



25 აპრილს, დუბლინში, საკუთარ ბინაში 84 წლისა გარდაიცვალა სოკის ყოფილი პრეზიდენტი ლორდ კილანინი.

ეს ირლანდიელი, მეორე მსოფლიო ომის დროს ჟურნალისტად მუშაობდა ფრონტის ხაზზე. შემდეგ რამდენიმე კინოფილმის პროდიუსერიც გახლდათ. 1950 წელს ირლანდიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გახდა. ორი წლის შემდეგ სოკის წევრია, 1968 წელს კი ვიცე-პრეზიდენტი. 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე იგი სოკის პრეზიდენტად აირჩიეს, რომელიც შემდეგ, ამ პოსტზე ხუან ანტონიო სამარანჩმა შეცვალა 1980 წელს.

# თანამედროვე ხუთჭიდი ჩვენში თენგიზ ჭეჭელავას თავდადებით და ოთარ კიკნაძის თანადგომით სულდგმულობს

არ გაგიკვირდეთ, მაგრამ დღეს საქართველოში თუ ჯერ კიდევ მოიხსენიება თანამედროვე ხუთჭიდი სიცოცხლისუნარიან სპორტის სახეობათა შორის, ძირითადად ეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თენგიზ ჭეჭელავას წყალობითაა. მას შემდეგ, რაც თავად შეწყვიტა სარბიელზე გამოსვლა, ახალგაზრდების დაოსტატებას მოჰკიდა ხელი და არაერთი ძლიერი სპორტსმენი აღზარდა. დღესაც ეს კაცია და თანამედროვე ხუთჭიდი. მხოლოდ მისი შეგირდების, „დინამოელ“ სპორტსმენთა მონაწილეობით გაიმართა ამ დღეებში თბილისის პირველობა.

თითქმის ყველასგან მივიწყებული სპორტის ეს რაინდული სახეობა ისევ დედაქალაქის მერიის სპორტის სამმართველომ (უფროსი ვლადიმერ კანკავა) გაიხსენა, რითაც უზომოდ გაახარა მწვრთნელი და მისი აღსაზრდელები. გაიხსენაო, ვამბობთ იმიტომ, რომ რამდენიმე წელია ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობაში არანაირი შეჯიბრება არ გამართულა, საქართველოს პირველობას ვინ ჩაატარებს, როცა ჯგუფი მარტო თბილისშია და მომეცადინენი მხოლოდ დინამოელები არიან. ფაქტობრივად ამ ჯგუფში მეცადინეობენ ყველა დონის ნაკრების წევრები. კიდევ კარგი, სპორტული ბაზების ხელმძღვანელები ბიჭებს მხარში უდგანან, თორემ სპორტის ამ სახეობის წარსულში გადაბარგების ძირითადი მიზეზი არენდის თანხის გადაუხდელობა იქნებოდა. ძირითადი ბაზა კი, ვინც ხუთჭიდელები შეიკედლა, ეროვნულ სტადიონზე კლუბი „პარაბოლაა“, რომელსაც წარსულში ცნობილი თანამედროვე ხუთჭიდელი ოთარ კიკნაძე უდგას სათავეში. ამ ჯგუფიდან არიან ჩვენი ლიდერები დავით ჭულუხაძე, ნოდარ ბარავი და თემურ ბალაკარი, რომლებსაც მსოფლიოს ნებისმიერ ასპარეზობაში წარმატებით გამოსვლის უნარი შესწევთ, მაგრამ უსახსრობის გამო, ეს ყოველთვის როდი ხერხდება (ნაკრების უფროსი მწვრთნელია ამირან შეროზია).

თბილისის პირველობაშიც, ცხადია, ამ სპორტსმენებს ბადალი არ ჰყავდათ, უძლიერესის სახელი მოიპოვა დავით ჭულუხაძემ — 5547 ქ. იგი პირველი



დავით ჭულუხაძე

იყო ფარიკაობაში, რბენაში, სროლაში, და ცურვაში, მესამე ადგილი გაიყო ცხენოსნობაში. დავითი ამ ასპარეზობის შემდეგ მსოფლიო თასის საეტაპო შეჯიბრებაზე გაემგზავრა გერმანიაში. მეორე ადგილი წილად ხვდა ნოდარ ბარავს — 5535, მესამე — თემურ ბალაკარს — 5117.

ჭულუხაძესთან ერთად ბარავი და ბალაკარი უსახსრობის გამო ერთად ვერ მიემგზავრებიან შეჯიბრებებზე, იგივე საშიშროებაა ევროპის ჩემპიონატის წინ, სადაც თუ ჩვენი სამივე ხუთჭიდელი გამოვა, გუნდურ ასპარეზობაშიც ჩავებმებით.

მ. ფუფუნავა

**ჩოგბურთი** **გურამ თოხაძის პრიზის გათამაშება**

# თაობების მადლობა 108 მონაწილემ გამოხატა

კარგია, როცა სპორტისთვის თავდადებული ადამიანების ამაგს, უპირველესად, თვით იმ სამყაროში მიაგებენ პატივს, სადაც მას ათეული წლები უმოღვაწია. ასეთი გახლავთ ბატონი გურამ თოხაძე — დამსახურებული მწვრთნელი და ქართველ ჩოგბურთელთა თაობების აღმზრდელი, შესანიშნავი პედაგოგი და პიროვნება.

ქართულმა საჩოგბურთო სამყარომ გურამ თოხაძის პრიზის გათამაშებით და ამ პიროვნების ამაგის დაფასებით, ახალგაზრდა მწვრთნელებსაც კარგი მაგალითი მისცა, მაგალითი იმისა, რომ წლობით გაწეული შრომა, უთუოდ დაფასდება.



სპეციალური პრიზი ლევან ზაიცევს თვით გურამ მასწავლებელმა გადასცა

პრიზის გათამაშებაში 1983-90 წლებში დაბადებული 108 ჩოგბურთელი მონაწილეობდა, რაც თავისთავად მისასალმებელია.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. *ბიჭები. 1983-84 წწ:* 1. ლადო კაკულია, 2. გიორგი დოლიაშვილი, 3. თამაზ ჯახუტაშვილი; *1985-86 წწ:* 1. ლევან ზაიცევი (გადაეცა სპეციალური პრიზი), 2. ომარ მურღულია, 3. ლევან ლორია; *1987-88 წწ:* 1. ლუკა ქორქოლიანი, 2. სოზარ გოქაძე, 3. კოტე ხაჭაპურიძე; *1989-90 წწ:* 1. ლაზარე კუკალაშვილი, 2. გიორგი ჭანტურია, 3. ლუკა სახვაძე. *გოგონები: 1983-86 წწ:* 1. მარინა არაქელოვა, 2. ანა მურღულია, 3. მარინა შენგელია. *1987-88 წწ:* 1. თათია მიქაძე, 2. ანა მურღულია, 3. ანა ტატიშვილი; *1989-90 წწ:* 1. ანა ტატიშვილი, 2. ნინო კალმახელიძე, 3. სალომე ჩაჩხუნაშვილი.



ლევან ზაიცევი

„ლელო“ — „ბუმათე“

ჭიდაობა ჩვენი, ქართული

# დაუკარით საჭიდაო!

*„დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასოდეს დაგვაბეროს“.*
*ლადო ასათიანი*

„ქართული ჭიდაობა ძველთაგანვე ღვთაებრივი ძალმოსილების მქონეა. იგი ქართველთა სიამოვნება, შნო და ლაზათია, ცხოვრების ერთგული, უღალატო თანამგზავრი, სულისა და სხეულის მაცოცხლებელი ძალა, უკვდავება, ზეიმი და მახარობელი გაზაფხულისა, აზრისა და ძალის ჰარმონიით გამოწვეული აღტაცება, ამანათივით გადმომცემი წინაპართა მემკვიდრეობისა.

ქართული ჭიდაობა ხუროთმოძღვრის როლის შემსრულებელია ადამიანისა, რომელიც ზეიმობს გამარჯვებისას და წუხს დამარცხების ჟამს, იგი ხელს უწყობს და აწესრიგებს ჰარმონიულობას, სპობს ყოველგვარ თანდაყოლილ ხინჯს.

ქართული ჭიდაობა სამართლიანობის მქადაგებელია, იგი მოუწოდებს ყველას სწორი და პატიოსანი გზით მოძრაობისაკენ, რასაც ეძებენ ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში დასახული მიზნის განხორციელებისათვის; გამარჯვების მისაღწევად ძალის, გამოცდილების და სიმხნევესიმარჯვის მობილიზაციისათვის; ოცნების, გამბედაობის და შემართების გამოვლენისათვის. ამავე დროს ქართული ჭიდაობა კეთილშობილების ნიმუშია, პატიოსნად, გულახდილად და უანგაროდ მოპოვებული გამარჯვების ნიმუში, იგი მოითხოვს უმაღლეს ზნეობრიობას, სამართლიანობას, მორალურ სიწმინდეს და მოუსყიდველობას.

ქართული ჭიდაობა დიდი სიხარულის მომგვრელია, დღესასწაულების დედოფალი, მოჭიდავისა და მაყურებლის ძალების ფორმირების სათავე, ნუგეში, სულის იარების გამკურნებელი, დამავიწყებელი, მაყურებლისათვის სიხარულის, სიამოვნებისა და ბედნიერების მიმნიჭებელი, ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სულის მატარებელი, ადამიანის სრულყოფის მაჩვენებელი, ფიზიკური და ზნეობრივი პროგრესის მაჩვენებელი, ხალხთა შორის ძმობის, მეგობრობის, კეთილშობილური დამოკიდებულების, ერთიანობის მაჩვენებელი, ახალგაზრდობის მომავლის გამკვალავი.

ამიტომ არის, რომ უხსოვარი დროიდან ქართველმა კაცმა ჩოხა მოირგო და დასაბამი მისცა ქართულ ჭიდაობას, ამ დიდ ეროვნულ მოვლენას. ქართულ ჭიდაობაზე საინტერესო ლექსებს, ლეგენდებს, წერილებს აქვეყნებდნენ მისი ქომაგები, დიდი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ანტონ ფურცელაძე, ნიკო კეცხოველი, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ აბაშიძე და სხვა. კომპოზიტორებმა შექმნეს შესანიშნავი პროფესიული მუსიკის ნიმუშები, საორკესტრო მინიატურები, „საჭიდაო“ სიმფონიური ორკესტრისათვის; მაშასადამე, ქართულ ჭიდაობას დიდი ეროვნული, სახელმწიფოებრივი და, თუ გნებავთ, დიდი საერთაშორისო მნიშვნელობაც ჰქონია. ამ გარემოებათა გამო, ქართულ ჭიდაობას სისტემატურად უნდა ვავითარებდეთ, მისი განვითარება კი მასობრიობაზეა დამოკიდებული. არადა, დღეს თითებზე ჩამოითვლება ისეთი სოფლები, სადაც „საჭიდაო“ არის მოწყობილი, ახლა რამდენი სკოლაა დარჩენილი მარტივი ტიპის მოედნისა და თუნდაც, უბრალო, ნახერხმოყრილი საჭიდაო წრის გარეშე. თავის დროზე თურმე ქსნის ერისთავმა მკაცრად დასაჯა ერთი აზნაური: კვირა გავიდა და რატომ შენს სოფელში ჭიდაობა არ გამართულაო, ახლა კი რამდენი კვირა გავა, ერთხელაც აღარ გაისმის საჭიდაოს ხმა, ხმა მსაჯისა „შენ დაუკა“ და სხვა ატრიბუტები, ცოდვა არ არის ქართული ჭიდაობა? ეს ხელისხელ საგოგმანები შნო და ლაზათი მივიწყებას მიეცეს, დახმარების, ქომაგობის, მხარდაჭერის და ენთუზიაზმის გარეშე დარჩეს?

ცოდვა არ არის ასეთი განძი უფერულდებოდეს, ნუთუ ვერ უნდა შევძლოთ მისი სასიცოცხლო თვისებათა შენარჩუნება-გამრავლება, რომ ფიზკულტურის გაკვეთილებზე ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე ვაზიარებდეთ ქართული ჭიდაობის ილეთებს, რომ მოზარდისათვის ჭიდაობას სერიოზულ გატაცებად ვაქცევდეთ, დღეობებში, რელიგიურ დღესასწაულებზე, საზოგადოებრივ თავშესაყარ ადგილებში სისტემატურად გაისმოდეს საამური მუსიკის, საჭიდაოს ხმა. ნუთუ მხოლოდ თამბაქოს წევაში და ნარკომანიაში უნდა ვასწრებდეთ მოწინავე ცივილიზებულ ქვეყნებს! სად ვეძებოთ გამოსავალი თუ არა ქართული სპორტის საძირკვლის, ჭიდაობის განვითარებაში, ახალგაზრდობის ჯანმრთელობის გადარჩენაში. მაშ!

„დაუკარით! მოასწარით, თორემ ჰერი...
და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება...“
დაუკარით ძველებური ლოთიანი,
თორემ დარდი ღრუბელივით გასივდება,
გაფრინდება სიყმაწვილე შფოთიანი,
წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება!“



რევაზ კრიჭინაშვილი,
ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის წევრი, აკადემიკოსი.

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა „ლელოს“ თაოსნობას ახალი სპორტული კლასიფიკაციის შექმნასთან დაკავშირებით. დღეს გთავაზობთ დებულებას, რომელიც ფედერაციამ მოგვაწოდა.

## ქართული ჭიდაობის ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

*ქართული ჭიდაობის სპორტული კლასიფიკაცია წარმოადგენს საპროგრამო ნორმატიულ დოკუმენტს ფიზიკური აღზრდის დარგში. ის ხელს შეუწყობს ქართული ჭიდაობის მასობრივ განვითარებას, განსაზღვრავს ერთიან მიმართულებას სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაში. მის ძირითად დანიშნულებად ითვლება სპორტსმენთა სპორტული დონის იერარქიის დადგენა.*

### I. სპორტული კლასიფიკაციის მიზანი და ამოცანები

ძირითადი მიზანია:

– ერთობლივი მოთხოვნილებების დადგენა;

– სათანრიგო ნორმატივების შესრულება და წოდებების მინიჭება ასაკისა და სპორტული კლასიფიკაციის შესაბამისად;

– ქართული ჭიდაობის მასობრიობა, სასწავლო-საწვრთნო მუშაობის ხარისხის ამაღლება, შეჯიბრების სისტემის სრულყოფა.

### II. სპორტული წოდება და თანრიგები

სპორტსმენებს ენიჭებათ შემდეგი სპორტული წოდებები და თანრიგები:

– „საქართველოს სპორტის ოსტატი“

– „I თანრიგი“

– „II თანრიგი“

– „III თანრიგი“

– „მოზარდთა თანრიგი“

### III. ასაკობრივი მოთხოვნა სპორტული წოდებებისა და თანრიგის მინიჭებისას

სპორტული წოდება და თანრიგი მიენიჭება სპორტსმენებს იმ ასაკების მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია შეჯიბრებების წესების მიხედვით და თუ ის შეასრულებს განსაზღვრულ პირობას და ნორმატივებს.

### IV. სპორტული წოდებისა და თანრიგის მინიჭების წესი

სპორტული წოდება და თანრიგი მიენიჭებათ სპორტსმენებს, რომლებიც შეასრულებენ დაწესებულ ნორმატივებს კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში.

– „საქართველოს სპორტის ოსტატი“ – დაიკავოს საქართველოს ჩემპიონატზე I ადგილი ან დაიკავოს საქართველოს აბსოლუტურ პირველობაზე I-III ადგილები ან საქართველოს ჩემპიონატზე სამი წლის განმავლობაში ორჯერ შევიდეს სამეულში, იმ პირობით, თუ წონით კატეგორიაში გამოვიდა სულ ცოტა 10 მონაწილე.

**შენიშვნა:** აბსოლუტურ პირველობაზე ოსტატობის მინიჭებისას მონაწილეთა რაოდენობა არ უნდა იყოს 16-ზე ნაკლები.

***I თანრიგი*** – საქართველოს ჩემპიონატში მოიპოვოს II-V ადგილი ან სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკურ და რეგიონალურ პირველობებზე დაიკავოს I-II ადგილები იმ პირობით, თუ ამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა არანაკლებ 8 სპორტსმენისა.

***II თანრიგი*** – დაიკავოს რაიონის (ქალაქის) პირველობაზე I ადგილი, ან წლის განმავლობაში მოიპოვოს 10 გამარჯვება.

***III თანრიგი*** – წლის განმავლობაში მოიპოვოს 5 გამარჯვება.

***მოზარდთა თანრიგი*** – დაიკავოს ჭაბუკთა შორის საქალაქო ან რაიონულ შეჯიბრებებში I ადგილები.

**შენიშვნა: სპორტის ოსტატის წოდების მინიჭების საკითხს განიხილავს საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, I თანრიგისას შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის, რეგიონების და თბილისის კომიტეტები. II-III თანრიგებისას ქალაქების, რაიონების სპორტული კომიტეტები, რომლებიც წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად გამოსცემენ ბრძანებებს წოდებისა და თანრიგების მინიჭების შესახებ, აფორმებენ სათანადო წიგნაკებს და გადასცემენ სპორტსმენებს შესაბამის სამკერდე ნიშნებს.**

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)

## პირველი ჯგუფი XXIV ტური

### მერანი-91 (თბილისი) — დინამო (ბათუმი) 1-0

***მერანი-91:*** ლომაია , ჭელიძე, ასპინძელაშვილი, ბ. ამბიძე, ჭინჭარაული, გელა ქორიძე, თოლორდავა (ბაჯელიძე, 81), ჩუხუა, (ბერაია, 89), ხუციშვილი, დავითაშვილი, ჯიშკარიანი.
***დინამო:*** ტოგონიძე, გუჯაბიძე, მინდაძე, სიჭინავა, პაპიძე, გადელია, მ. მახარაძე, ჭიჭველიშვილი, ღლონტი, ხომერიკი, რუსია (უვაკვე, 74).
***გოლი:*** ამბიძე (48).
***მსაჯი:*** ალექსანდრე მეშკოვი (თბილისი).

ტრანსპორტელთა გუნდმა ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა და თუ შემდგომშიც მოახერხებს თავისი თამაშის „დაჭერას“, შესაძლოა მეორედ გამოკრას ხელი ინტერტოტოს საგზურს. ამის თქმის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ „მერანმა“ ყველა კომპონენტში პირწმინდად დაჯაბნა ქვეყნის ერთ-ერთი კოლორიტული კოლექტივი. ბრძოლა მინდვრის თითქმის ყველა მონაკვეთზე – აი ამით, ნაცადი და ეფექტური ხერხით დაუპირისპირდნენ თბილისელები ზღვისპირელებს. „მერანმა“ შეუპოვრობა, კარგი ფიზიკური მომზადება, მობილურობა გვიჩვენა, სერგო გაბელაიას ბიჭებმა სეზონში ჯერჯერობით საუკეთესო მატჩი ჩაატარეს და გამარჯვებაც მათზე ალალი იყო. ბათუმელებმა კი ვერაფრით გამოიჩინეს თავი, ისინი მხოლოდ ერთხელ, პირველ ტაიმში დაემუქრნენ რეალურად ლომაიას კარს, როცა ღლონტის პასი ხომერიკმა ვერ შეიშნო – ერთი-ორი მეტრიდან ბურთი ზედა ძელს მოარტყა.

საგოლე კომბინაცია კი ჭინჭარაულმა წამოიწყო, რომელმაც თოლორდავას მისამართით გაგზავნა ბურთი დინამოელთა საჯარიმოს მისადგომებთან. მერანელთა ფორვარდმა არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღო – გადაცემას შეგნებულად არ „გამოეხმაურა“ და „გატარებულ“ ბურთს ჩუხუა დაეუფლა, მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და იქიდან მიართვა საგოლე პასი ბახვა ამბიძეს, რომლის ეფექტური, ძლიერი დარტყმა ვარდნაში, აუღებელი აღმოჩნდა ტოგონიძესთვის. ყველაფერ ამას დაწვრილებით იმიტომ მოგახსენებთ, რომ ასეთი გააზრებული, დინამიური და ლამაზი საგოლე კომბინაციები მართლაცდა იშვიათობაა არა მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში.

ბათუმელები ვითომ დაფაცურდნენ, მაგრამ ვერაფერ ღირებულს ვერ ქმნიდნენ ლომაიას კართან. „მერანმა“ კი კონტრშეტევებზე გაილაღა, ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ ხუციშვილს, დავითაშვილს, ჭელიძეს, ბერაიას... განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მიხეილ ხუციშვილი, რომელმაც მეორე წრეში საგრძნობლად მოუმატა თამაშს. ქების ღირსია მარცხენა ნახევარმცველად „გადაკეთებული“ დავითაშვილიც, მინდვრის ცენტრში კი გელა ქორიძე და ამბიძე აშკარად დომინირებდნენ. მოკლედ, შემადგენლობაშესუსტებულმა „მერანმა“ ღირსეულად გაიმარჯვა. რამდენიმე წამყვანი მოთამაშე ბათუმელებსაც აკლდათ, მაგრამ მათი ასეთი უფერული თამაში მაინც მოულოდნელობა გახლდათ. „სინათლეზე“ კი კარგა ხნით მივიწყებული „მერანი“, „მერანი“ გაისმოდა.

დათო თავართქილაძე

## ტექნიკური შედეგები

### დინამო (თბილისი) — ვიტ ჯორჯია (თბილისი) 3-2

***დინამო:*** გვარამაძე, მიქაძე, ვაშაკიძე, დიდავა, მაჭავარიანი, ა. სახვაძე, კიკნაძე (ჩომახიძე, 76), ალექსიძე, ჯინჭარაძე (გოგიჩაიშვილი, 71), აშვეთია, ქებაძე (წიტაიშვილი, 46).
***ვიტ ჯორჯია:*** ჭურაძე, ჭანკოტაძე, ქემოკლიძე, გიორგი ქორიძე, მაზიაშვილი, ზ. გვაზავა, ვ. მაისურაძე, დოლიძე, გოჩაშვილი, გ. ალადაშვილი (ბერაძე, 79), ბარქაია.
***გოლები:*** ალექსიძე (2, 80), წიტაიშვილი (54), გოჩაშვილი (59,66).
***მსაჯი:*** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

### არსენალი (თბილისი) — თსუ (თბილისი) 0-0

***არსენალი:*** ჩლაიძე, კოხრეიძე, ვ. გაგუა, გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (თვალაბეიშვილი, 30), აბაზაძე, ამირიძე, კაკაშვილი, ტარიელაშვილი.
***თსუ:*** გაბელია, ზამთარაძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ხუჯაძე, ღუდუშაური, ნინუა, მაღრაძე, გოგოლაძე, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი.
***გააფრთხილეს:*** შაშიაშვილი, მაისურაძე, კაკაშვილი.
***მსაჯი:*** ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი)

### სიონი (ბოლნისი) — «კოლხეთი»-1913 (ფოთი) 1-1

***სიონი:*** გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე ლ. ამბიძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (ხიდაშელი, 72), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი, მოსეშვილი (ლ. გაგუა, 59).
***კოლხეთი-1913:*** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ანჯაფარიძე, ღაღანიძე, კალანდაძე, ტრაპაიძე, ე.გვასალია, შავგულიძე (ბულუხია, 72), მ. ქობულაძე.
***გოლები:*** შავგულიძე (48), გაგუა (61).
***გააფრთხილეს:*** ე. გვასალია, ყიფშიძე.
***მსაჯი:*** თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

### დილა (გორი) — ლოკომოტივი (თბილისი) 0-2

***დილა:*** სოღოლაშვილი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, ლ. გოჩაშვილი ( ვ. სამხარაძე, 52) ც. გაგნიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი (არუთუნიანი, 70), სულთანიშვილი, რ. ახალკაცი, შატიკაშვილი (ხიხალაშვილი, 68).
***ლოკომოტივი:*** დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, ლ. მუჯირი (გილაური 35), ვ. კილასონია, კაციაშვილი (ნ. ბაქრაძე, 80), კ. მელქაძე, დ. ბაქრაძე, დ. გოდერძიშვილი, წიწვიძე (შ. ხუჯაძე, 46).
***გოლები:*** გოდერძიშვილი (15, 48)
***გააფრთხილეს:*** ფეზუაშვილი, შატაკიშვილი, ბარნოვი.
***მსაჯი:*** ალექსანდრე კრიჭაშვილი (თბილისი).

### გორდა (რუსთავი) — ოდიში (ზუგდიდი) 6-2

***გორდა:*** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ჩიგიშვილი, სიდამონიძე, გაბელაია (ბექაური, 70), ინასარიძე, მ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი (ზ. ლაბაძე, 65), პატარიძე (ლ. ალადაშვილი, 69), მიშველაძე.
***ოდიში:*** ნაყოფია, ღურწკაია. კ. კვეკვესკირი, აფაქიძე (ცაცუა, 46) ჯავაშვილი, აკობია, ტაბაღუა, იოსავა, კაკულია (გოგოხია, 46), გვიჩია.
***გოლები:*** მიშველიძე (10), პატარიძე (24), მელაძე (28), სიდამონიძე (44, პენ), კვეკვესკირი (49), ზირაქაძე (68), გვიჩია (78), ინასარიძე (86).
***გააფრთხილეს:*** მელაძე, აკობია, ტაბაღუა.
***გააძევეს:*** მიშველაძე, ღურწკაია
***მსაჯი:*** გურამ ასკეროღლი (ქარელი).

### გურია (ლანჩხუთი) — ტორპედო (ქუთაისი) 1-5

***გურია:*** ნიკურაძე, გულორდავა, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, სვანიძე, ჭიაბრიშვილი (ძოძუაშვილი, 72), შავშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (ფირცხალაიშვილი, 74), ბოლქვაძე.
***ტორპედო:*** ჭანტურია, ახვლედიანი (ჩხაბერიძე, 74), ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, თურმანიძე, დ. ჯანაშია (იმედაძე, 82), მეგრელაძე ( მეტრეველი, 83), ვაჩიბერიძე, ჩხეტიანი.
***გოლები:*** ვაჩიბერიძე (42), მეგრელაძე (47), დ. მახარაძე (48), ჯანაშია (50,81), იმედაძე (88).
***გააფრთხილეს:*** ბოლქვაძე, სვანიძე, მაღლაკელიძე.
***მსაჯი:*** სოსო კახიანი (თბილისი).

### სამგურალი (წყალტუბო) — იბერია (სამტრედია) 2-3

***სამგურალი:*** ასლანაძე (ბობოხიძე, 39), მახვილაძე, ბურნაძე (ქუთათელაძე, 46), ლ. ქობულაძე (ფრანგიშვილი, 20), ვოსკანოვი, ძაგნიძე, აფციაური, გ. კილასონია, გიორგობიანი, სუხიაშვილი, გ. შენგელია.
***იბერია:*** ვარდანიძე, მუმლაძე (ნიკოლეიშვილი, 13), ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, ძოდუა, ს. გიგიაძე, ხუჭავა, ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ვარდიაშვილი (ვ. გიგიაძე, 12).
***გოლები:*** შენგელია (8), ხუჭუა 18), ს. გიგიაძე (38, პენ.,) (65), ქუთათელაძე (53).
***გააფრთხილეს:*** ს. გიგიაძე, კილასონია, ლურსმანაშვილი.
***მსაჯი:*** ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

# ამბიციური „ვიკინგები“

(პირველი გვერდიდან)

*ნორვეგიელების შემადგენლობა:* ბორდსენი, ჰეგემი (ბერგი), რ. იონსენი, ჰოფტიუნი, ბიორნებიუ, რუდი (ჰ. ფლო), რეკდალი, სოლბაკენი, სტრანდლი, ტ.ა. ფლო, სოლსკიარი (ი. ფლო).

ლატვიის ნაკრების ამ სრულიად მოულოდნელ გამარჯვებას ერთი ასევე სრულიად მოულოდნელი გამოხმაურება ჰქონდა... – ოკეანის გაღმიდან! ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ ფაქსი მიიღო ბრაზილიიდან, რომელშიც ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის დასტურს სთხოვდნენ. დიახ, დიახ, თვით ბრაზილიელები ვერაფერს აწყობდნენ ნორვეგიელებთან და აინტერესებდათ, რას წარმოადგენდა გუნდი, რომელმაც ოსლოში გაიმარჯვა მათთან და თანაც დამაჯერებელი ანგარიშით.



მიუკლანდი

ერთი სიტყვით, ნორვეგიელებმა შეჯიბრება ცუდად დაიწყეს და არც მომდევნო ორ მატჩში მოუხდენიათ დიდი შთაბეჭდილება. 10 ოქტომბერს ლიუბლიანაში სლოვენიის ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ ითქვა, რომ ნორვეგიელებს „ციებ-ცხელება“ შეეყარათ. მართალია, სემბმა გაითვალისწინა ლატვიელებთან მატჩის სავალალო შედეგი და რამდენადმე გადაახალისა შემადგენლობა, რომელიც სლოვენიის წინააღმდეგ ასე გამოიყურებოდა: გროდასი, ჰოლანდი, ჰოფტიუნი, ბერგი, ბიორნებიუ, ი. ფლო, ჰეგემი (რისეტი), სოლბაკენი, ტ.ა. ფლო (რუშფელდტი), რეკდალი, სტრანდი (ჰესტადი). ამ დღეს მინდორზე გამოვიდა სამი მოთამაშე, ისინი მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ნაკრების განაცხადშიც არა ყოფილან. საერთო სურათი არ შეცვლილა და ნორვეგიელების თამაში შეფასდა, როგორც „ფრიად უფერული“. ამასთან, სტუმრებმა ავად თუ კარგად, მაინც მოიპოვეს სამი ქულა. მე-80 წუთისათვის, როცა ანგარიში იყო 1-1, ჩეტილ რეკდალმა კარში დაარტყა. მასპინძლების მეკარე მარკო სიმეუნოვიჩი შეეცადა მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნილი ბურთი მოეგერიებინა მარჯვენა ხელით და საკმაოდ კურიოზული გოლიც გავიდა! 2-1 ნორვეგიელების სასარგებლოდ – ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება!

აი, სულ სამი დღის შემდეგ, 14 ოქტომბერს ოსლოში თითქმის მთლიანად განმეორდა ლატვიელებთან განცდილი კოშმარი. ალბანელებს, მით უმეტეს, თბილისში წაგების შემდეგ, აინუნშიც არავინ აგდებდა. ნორვეგიელები თითქმის იგივე შემადგენლობით თამაშობდნენ, როგორც ლიუბლიანაში: გროდასი, ჰოლანდი (ივერსენი), ჰოფტიუნი, ბერგი, ბიორნებიუ, ი. ფლო (სოლსკიარი), სოლბაკენი (რუშფელდტი), ჰეგემი, ტ.ა. ფლო, რეკდალი, სტრანდი.

მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე ანგარიში იყო 2-0 ალბანელების სასარგებლოდ (გოლები ბუშიმ და ტარემ გაიტანეს) და საწყენი სწორედ ის იყო, როგორ იხსნეს ნორვეგიელებმა ქულა. ეს მოხერხდა რეკდალისა (პენალტით) და თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ბერგის მიერ გატანილი ბურთების წყალობით, 2-2.



ამის შემდეგ ნორვეგიელებმა სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლეს – ისინი მხოლოდ საქართველოს და ალბანეთის ნაკრებებს უსწრებდნენ.

მთელი ზამთრის განმავლობაში ექსპერტები განიხილავდნენ საკითხს: შეინარჩუნებდა თუ არა ამდენი მარცხის შემდეგ ნილს-იუხან სემბი თავის „სკამს“. ცხადი იყო, ის ვერაფერი ეგილ ულსენი გამოდგა, მისი წინამორბედი, რომელიც უტყუარი საფეხბურთო „სმენით“ გამოირჩეოდა, სემბი კი არც ისე დიდი რეპუტაციის გუნდებსაც კი ვერ უმკლავდებოდა. ამიტომ თვლიდნენ, რომ სემბისათვის შეიძლებოდა საბედისწერო გამომდგარიყო 27 მარტის მატჩი ათენში ბერძნებთან. აი, აქ წაფორხილებას კი ნორვეგიელთა მწვრთნელს უკვე არავინ აპატიებდა. სემბმა ერთხელ კიდევ გადახედა შემადგენლობას: უკვე მესამედ შეიცვალა მეკარე (4 მატჩში!) – მიიწვიეს 25 წლის თომას მიურე ინგლისის „ევერტონიდან“, გადახალისდა ზოგი სხვა რამ, საერთოდ კი შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: მიურე, ჰეგემი, იონსენი, ბერგი, ბერგდოლმო (ჰალე), სტრანდი (ბოხინენი), მიუკლანდი, სოლბაკენი, ივერსენი, სოლსკიარი (კარეუ), რუდი. საინტერესოა, რომ ამჯერად არ თამაშობდა სამთაგან არც ერთი ფლო. დიახ, ტორე-ანდრე ფლო შესანიშნავად მოქმედებს ლონდონის „ჩელსიში“, მწვრთნელ ჯანლუკა ვიალის მწვავედ აკრიტიკებენ ხოლმე, როცა ნორვეგიელი გიგანტი არ გამოჰყავს მინდორზე და მის ნაცვლად... თვით თამაშობს! ეს ასეა, მაგრამ სემბსაც ხომ შეეძლო ეთქვა, რა გააკეთა ამ ახოვანმა თავდამსხმელმა ნორვეგიის ნაკრების იმ წინა სამ მატჩში? ამჯერად ათენში არც მრავალნაცადი ნახევარმცველი ჩეტილ რეკდალი ბერლინის „ჰერტადან“ თამაშობდა, ისე კი, რა თქმა უნდა, მთავარ იმედებს კვლავ ნაკრების ვეტერანებზე ამყარებდნენ. ვეგარდ ჰეგემს, თუმცა ჯერ 24 წელიც არ შესრულებია, „ლივერპულის“ მოთამაშეს, ნაკრებში კონკურენტი არა ჰყავს. იგივე ითქმის ფრიად გამოცდილ მცველებზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ – რონი იონსენსა (1969) და ჰენინგ ბერგზე (1969), შუა ხაზის მოთამაშეებზე როარ სტრანდზე („რუსენბერგი“, 1970), სტალე სოლბაკენზე (დანიის „ოლბორგი“, 1968), ერიკ მიუკლანდზე (ათენის „პანათინაიკოსი“, 1971). თუ ტ.ა. ფლომ აქამდე არაფერი გააკეთა, ახლა მწვრთნელმა იმედები „მანჩესტერ იუნაიტედის“ შედეგიან თავდამსხმელ ოლე გუნარ სოლსკიარზე (1973) დაამყარა.



ბიორნებიუ

რა შეიძლება ითქვას ათენის მატჩზე, რომელიც ჯერჯერობით საუკეთესოა ამ ტურნირში ნორვეგიელთა მიერ ჩატარებულთა შორის? უპირველეს ყოვლისა, მათი დაცვა გაცილებით უფრო საიმედოდ თამაშობდა, ვიდრე წინა სამ შეხვედრაში. ჩვენ მხოლოდ იმას როდი ვგულისხმობთ, რომ სკანდინავიელებს ამჯერად გოლი არ გაუშვიათ, თუმცა, ცხადია, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ბერძნები ბევრს უტევდნენ, მაგრამ რეალურს ბევრს ვერაფერს ქმნიდნენ, თუ, ცხადია, არ ჩავთვლით იმას, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა ნიკოს დაბიზასმა ძელს მოახვედრა ბურთი. მასპინძლების შეტევის მოგერიების შემდეგ ნორვეგიელები მტკიცედ დაეუფლნენ ინიციატივას. მოვუსმინოთ სემბს: „პირველი წუთები ძალიან ნერვიული გამოდგა. თანდათანობით მოვაწესრიგეთ ურთიერთდაზღვევა. საბედნიეროდ, ამ დროს მეტოქეებმა ვერ შეძლეს გოლის გატანა. საერთოდ კი, ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ვინ მოახერხებდა ანგარიშის გახსნას. მას შემდეგ, რაც ოლე-გუნარ სოლსკიარმა პირველი გოლი გაიტანა (იგივე თავდამსხმელი გახდა მეორე გოლის ავტორიც – გ.გ.), ჩემი მოთამაშეები მთლიანად დამშვიდდნენ. რაც შეეხება მეორე ტაიმს, აქ თამაში კონტრშეტევებზე ავაგეთ და ყველაფერი კარგად გამოგვივიდა“.

2-0 კი იმას ნიშნავდა, რომ ნორვეგიელთა მწვრთნელს უბატონოდ ხმას უკვე ვერავინ გასცემდა, სამაგიეროდ, ბერძნების რუმინელმა მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ სავარძელი ვასილის დანიელს დაუთმო. ვასილის დანიელი ბევრს კი იმუქრებოდა, უფლებები აღუდგინა ჰოლანდიის „ვიტესის“ შედეგიან თავდამსხმელ ნიკოს მახლასს, რომელსაც იორდანესკუ მაინცდამაინც არ სწყალობდა, მაგრამ რიგაში მაინც ვერ შეძლო გამარჯვება – 0-0. აი, სწორედ ეს ფრე იყო, რომელმაც ნორვეგიელებს პირველ ადგილზე გადასვლის საშუალება არ მისცა. მათ ლატვიელებისა არ იყოს, 4 თამაშიდან 7 ქულა აქვთ, მაგრამ რეზო ძოძუაშვილის გუნდი ოდნავ უკეთესი დამატებით მონაცემების გამო მაინც ჯგუფის ლიდერად ითვლება.

4 ტურის შემდეგ (ბერძნებს 5 თამაში აქვთ ჩატარებული) შეიქმნა საკმაოდ იშვიათი მდგომარეობა, რომ 6 მონაწილიდან პირველი ადგილისათვის ბრძოლის თეორიული (!) შესაძლებლობა არც ერთს არა აქვს დაკარგული. მართალია, ასეთი უცნაური „წონასწორობა“ უკვე 28 აპრილს უნდა დაირღვეს, როცა საქართველოს ნაკრები ნორვეგიელებს მიიღებს, ლატვიელები კი ალბანელებს.

ჩვენ კი ასე დავასრულოთ: ევროპის პირველობის მეორე შესარჩევ ჯგუფში არც გრანდები არიან უძლეველი ფავორიტები და არც უიმედოდ განწირული- აუტსაიდერები. სწორედ ამიტომ არის, რომ სატურნირო ცხრილი თავისებურ „საქანელად“ იქცა. თითოეულ მომდევნო მატჩს კი თითქმის ნამდვილი სათასო მნიშვნელობა მიენიჭა. ეს მეტისმეტად ზრდის დაძაბულობასაც და ინტერესსაც, რომელიც შეჯიბრებას თავიდანვეც არ აკლდა.

ბივი გამრეკელი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ეროვნული ჩემპიონატები

**ინგლისი, XXXV ტური**

მიდლსბრო – არსენალი 1-6, ტოტენჰემი – ვესტჰემი 1-2, უიმბლდონი – ნიუკასლი 1-1, ასტონ ვილა – ნოტინგემი 2-0, ლესტერი – ქოვენთრი 1-0, დერბი ქაუნთი – საუთჰემპტონი 0-0, ბლეკბერნი – ლივერპული 1-4, ევერტონი – ჩარლტონი 4-1, ლიდსი – მანჩესტერი 1-1, შეფილდი – ჩელსი 0-0.

*ლიდერობენ:* არსენალი (69), მანჩესტერ იუნაიტედი (68), ჩელსი (65), ნიუკასლი კი 43 ქულით მე-11 ადგილზეა.

**გერმანია, XXVIII ტური**

მიუნხენ-1860 – ბაიერნი 1-1, აინტრახტი – ჰანზა 2-2, შტუტგარტი – ლევერკუზენი 0-1, ნიურნბერგი – დუისბურგი 0-2, შალკე – ჰამბურგი 1-4, მიონხენგლადბახი – ვოლფსბურგი – 5-2, ჰერტა – ბოხუმი 4-1, დორტმუნდი – ვერტერი 2-1, კაიზერსლაუტერნი – ფრაიბურგი 0-2.

*ლიდერობენ:* ბაიერნი (65), ლევერკუზენი (57), ჰერტა (48), ფრაიბურგი 30 ქულით მე-12 ადგილზეა.

**საფრანგეთი, XXX ტური**

ლიონი – რენი 1-2, პსჟ – ლე აკრი 3-0, ნანტი – მეცი 0-0, მონაკო – ბასტია 1-1, ლორიანი – სტრასბური 0-2, ლანსი – მარსელი 4-0, ოსერი – მონპელიე 2-2, სოშო – ბორდო 2-0, ნანსი – ტულუზა 2-0.

*ლიდერობენ:* მარსელი (64), ბორდო (63), ლიონი (56).

**ესპანეთი, XXXI ტური**

ვალენსია – სელტა 2-2, ატლეტიკო – ბარსელონა 1-1, სალამანკა – რეალი 1-1, მალიორკა – ბილბაო 6-1, სოსიედადი – რასინგი 2-0, დეპორტივო – ვალიადოლიდი 3-0, ოვიედო – სარაგოსა 1-2, ალავესი – ვილირეალი 2-1, ესპანიო[illegible] – ესტრამადურა 0-0, ტენერიფე – ბეტისი 3-[illegible]

*ლიდერობენ:* ბარსელონა (63), სელტა (54), მალიორკა (54).

**იტალია, XXXI ტური**

სალერნიტანა – ბოლონია 4-0, ვიჩენცა – მილანი 0-2, სამპდორია – ლაციო 0-1, რომა – პარმა 1-0, კალიარი – პერუჯა 2-2, პიაჩენცა – ვენეცია 0-1, ინტერი – უდინეზე 1-3, იუვენტუსი – ფიორენტინა 2-1, ემპოლი – ბარი 0-2.

*ლიდერობენ:* ლაციო (59), მილანი (58), ფიორენტინა (51).

**ჰოლანდია, XXIX ტური**

გრააფსხაფი – ეინდჰოვენი 1-0, კამბური – სპარტა 2-4, ჰერენვენი – ალკმაარი 2-1, ვაალკაიკი – ტვენტე 2-2, ნაიმენი – ვიტესი 3-1, სიტარდი – როდა 0-1, უტრეხტი – მაასდრიხტი 0-2, ტილბურგი – აიაქსი 3-1, ფეიენოორდი – ბრედა 2-2 (სტუმართაგან ერთი ბურთი არჩილ არველაძემ გაიტანა).

*ლიდერობენ:* ფეიენოორდი (71), ტილბურგი (56), ვიტესი (55), აიაქსი 47 ქულით მეშვიდე ადგილზეა, ხოლო ბრედა 17 ქულით – ბოლოზე.

**შვეიცარია (ფინალური ეტაპის VIII ტური)**

სერვეტი – ქსამაქსი 1-2, სენტ გალენი – ბაზელი 1-2, ლუცერნი – ციურიხი 1-3, გრასჰოპერსი – ლოზანა 5-0 (მასპინძელთაგან მეორე გოლი მიხეილ ყაველაშვილმა გაიტანა).

*ლიდერობენ:* გრასჰოპერსი (36), სერვეტი (35), ლოზანა (34).

**რუსეთი, IV ტური**

შინიკი – ცსკა 0-0, ზენიტი – სპარტაკი 1-2, დინამო – ლოკომოტივი (ნ.ნოვგოროდი) 2-1, ალანია – როსტელმაში 3-1, ურადანი – როტორი 0-1, ჩერნომორეცი – ჟემჩუჟინა 3-0, კრილია სოვეტოვი – ტორპედო 1-2.

*ლიდერობენ:* სპარტაკი (15), დინამო (12), ტორპედო (12).

### თეთრაძეს ჯაშუშობა დააბრალეს

მას შემდეგ, რაც ომარ თეთრაძე „რომას“ გამოეთხოვა, რომშივე დარჩა და მკურნალობას განაგრძობს. ამავე დროს მას რამდენიმე მიწვევაც მოუვიდა იტალიის, გერმანიისა და ინგლისის გუნდებიდან.

ეს კია, რომ იტალიელმა ჟურნალისტებმა მას ჯაშუშობა დააბრალეს. საქმე შემდეგში იყო: „ლაციოსთან“ მოსკოვის „ლოკომოტივის“ შეხვედრის წინ თეთრაძე მოსკოველებთან მივიდა და ცოტა ხანს ესაუბრა. აქ ხაზი იმასაც გაესვა, რომ ეს „ლაციოს“ მოძულე „რომას“ (თუნდაც ყოფილმა!) მოთამაშემ გააკეთა.

### კოღოები და მეძავები, რამდენიც გინდა

როგორც ნიგერიაში ახალგაზრდათა მსოფლიო პირველობაზე მონაწილე იაპონიის ნაკრების ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, შეჯიბრების დროს სასტუმროში ელემენტარული პირობებიც კი არ იყო შექმნილი. აქ კონდიციონერებიც კი არ იყო, სამაგიეროდ, დიდძალი კოღო და, ასე გასინჯეთ, 200 მეძავი გვეხვეოდა თავს. მათ ყველა კიბე და გასასვლელი დაიკავეს, ფეხბურთელებს აცივდებოდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ.

ნიგერიელი ჟურნალისტების აზრით, იაპონელებს სერიოზულ ძალად არავინ მიიჩნევდა. ასე, მაგალითად, მექსიკელებმა მათთან შეხვედრის წინ მთელი ღამე ბარში გაატარეს ქალთა საზოგადოებაში ღვინის ჭიქებით ხელში.

### ზეიმი ჩაშხამდათ

მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ურუგვაელებმა ბრაზილიელებს მოუგეს (2-1), მონტევიდეოში გულშემატკივრების დიდი ზეიმი გაიმართა. რამდენიმე ათასი კაცი სიხარულს ვერ მალავდა და იმ ბედნიერ დროს იგონებდა, როცა 1950 წელს ურუგვაელებმა „მარაკანაზე“ ბრაზილიელებს ზუსტად ასეთივე ანგარიშით სძლიეს და მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.

ურუგვაელებს ზეიმი მალე ჩაშხამდათ – ისინი საბოლოოდ ახალგაზრდათა მსოფლიო ჩემპიონატზე ვერაფერს გახდნენ.

### რა დროს დაბერდა!

როგორც არც ისე ცნობილ ამერიკულ კლუბ „მაიამი ფიუჟნის“ მწვრთნელმა ივო ვორტმანმა განაცხადა, მას აღარ აკმაყოფილებს ცნობილი კოლუმბიელი ნახევარმცველის კარლოს ვალდერამას თამაში (რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინ სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი იყო). ამდენად, ვალდერამას შეუძლია სხვა კლუბი ეძებოს.

ასე გადის ამქვეყნიური დიდება!

### მოთამაშეების ცემა უნდოდათ

მას შემდეგ, რაც „ინტერის“ მატჩი „ვიჩენცასთან“ ფრედ დასრულდა, 300-მდე გულშემატკივარი შეეცადა მილანელი ფეხბურთელებისათვის ანგარიშის გასწორებას. სერიოზულად დააზიანეს რამდენიმე მოთამაშის მანქანა, ერთ-ერთი ტელეარხის ოპერატორს კი სცემეს. მხოლოდ ხავიერ სანეტი და ტარიბო უესტი გადაურჩნენ „ტიფოზების“ რისხვას. რაც შეეხება „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის, რომელსაც მატჩის განმავლობაში გულშემატკივრები განუწყვეტლივ ლანძღავდნენ, მან შეხვედრის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე უშვела თავს – „სან-სიროს“ სტადიონი დატოვა.

### რახან ვერაფრით მოარჯულეს

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ლივერპულის „ევერტონის“ ნახევარმცველ ოლივეე დაკური დაჯარიმებულია 4,2 ათასი დოლარით. ეს სასჯელი დაკურმა მას შემდეგ დაიმსახურა, რაც ჩემპიონატის 34 ტურში – 13 ყვითელი ბარათის მიღება მოახერხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)

### XXIV ტურის სტატისტიკა

● ტურის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს:
1. „თსუ"-ს მე-5 თამაშია (450 წთ) გოლი არ გაუშვია.
2. ლანჩხუთის „გურიას" ზედიზედ მე-7 წაგება.

● 8 მატჩში გატანილია 29 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 3,6 ბურთი). მასპინძლებმა გაიტანეს 14 ბურთი, სტუმრებმა – 15.

● ტურში მასპინძლებმა და სტუმრებმა მოიპოვეს 3-3 გამარჯვება, ფრედ დამთავრდა 2 მატჩი.

● დღემდე „მშრალად" შეინახეს თავიანთი კარი შემდეგი გუნდების მეკარეებმა: დოლაბერიძემ („ლოკომოტივი") – 3-ჯერ; გაბელიამ („თსუ") – 7-ჯერ; ჩლაიძემ („არსენალი") – 8-ჯერ; ლომაიამ („მერანი-91") – 10-ჯერ.

● „დუბლი" შეასრულეს: რ. ალექსიძემ („დინამო" თბ.), ვ. გოჩაშვილმა („ვიტ-ჯორჯია"), დ. გოდერძიშვილმა („ლოკომოტივი"), დ. ჯანაშიამ („ტორპედო"), ს. გიგიაძემ („იბერია").
ჩემპიონატის დაწყებიდან სულ აღინიშნა: ერთი – „პოკერი" (ხომერიკი – „დინამო" ბთ.); 8 – „ჰეთ-თრიკი" და 57 – „დუბლი".

● ტურში დაინიშნა 2 „პენალტი" (ორივე რეალიზებულია). ჩემპიონატის დაწყებიდან დანიშნულია 62 „პენალტი" (რეალიზებულია 51).

● ტურში დაფიქსირდა 2 დიდი ანგარიშით მოგება („ტორპედო" და „გორდა". ეს რუსთაველთა პირველი დიდი ანგარიშით გამარჯვებაა).
სულ ჩემპიონატის დაწყებიდან დაფიქსირდა 40 დიდი ანგარიშით მოგება. ამ მხრივ ჩემპიონატში ლიდერობენ: „დინამო" თბ – 10 მოგება, „კოლხეთი-1913" და „ტორპედო" – 6-6 მოგება; „ვიტ-ჯორჯია" და „დინამო" ბთ – 3-3; „ლოკომოტივი", „იბერია", „დილა" და „მერანი-91" – 2-2, თითო-თითო მოგება – „თსუ". „არსენალი", „სიონი" და „გორდა".
არც ერთი დიდი ანგარიშით მოგება არა აქვს: „სამგურალს", „ოდიშს", და „გურიას".

● ტურში 2 ფეხბურთელი (მიშველაძე – „გორდა" და ღურწკაია – „ოდიში") გააძევეს, 17 გააფრთხილეს.
ყველაზე „უხეში" მატჩი იყო: „გორდა" – „ოდიში", სადაც 3 ფეხბურთელი გააფრთხილეს და 2 გააძევეს.

● **ბომბარდირები:**
მ. აშვეთია („დინამო" თბ.) – 20 გოლი.
ზ. იონანიძე („ტორპედო") – 15.
ლ. ხომერიკი („დინამო" ბთ.) – 14.
დ. მახარაძე („გურია") – 14.
? წიწვიაძე („ლოკომოტივი") – 12.
ე. გვასალია („კოლხეთი-1913") – 12.
რ. ალექსიძე („დინამო" თბ.) – 11.
დ. ჯანაშია („ტორპედო") – 11.
გ. მეგრელაძე („ტორპედო") – 10.
დ. გოდერძიშვილი („ლოკომოტივი") – 9
ზ. ზირაქიშვილი („არსენალი") – 9
ა. კაიდარაშვილი („დილა") – 9
გ. შენგელია („სამგურალი") – 9.

**ვეფხვია ჯალაღონია,**
**აფხაზეთი, სოფ. ფშაფი**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## დაუკვირდით ამ განცხადებას

როგორც ტურინის „იუვენტუსის" საპატიო პრეზიდენტმა ჯოვანი ანიელიმ განაცხადა, მომდევნო სეზონში რონალდო და ალესანდრო დელ პიერო ერთ გუნდში ითამაშებენ. მართალია, პრეზიდენტს არ უთქვამს, რომელ კლუბს გულისხმობს – „იუვენტუსს" თუ „ინტერს".
ანიელიმ დაადასტურა, რომ მომდევნო სეზონში „იუვენტუსში" ზინედინ ზიდანი აღარ ითამაშებს.

## „ფლამენგო" სუპერკლუბი გახდება?

„ფლამენგოს" თავდამსხმელი რომარიო სააგენტო „სპორტ-პრესამ" რიოდე-ჟანეიროს შტატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.
თვით „ფლამენგო" კი სუპერკლუბის შექმნაზე ოცნებობს. იგი აპირებს იმ ბრაზილიელი ვარსკვლავების შეძენას, რომლებიც ახლა ევროპის კლუბებში გამოდიან. პირველ რიგში, ლაპარაკია რივალდოზე, ჯოვანისა და ფლავიო კონსეისაოზე.

## ზოგი მიდის, ზოგი მოდის...

როგორც მადრიდში გამოცხადდა, „რეალის" კაპიტანმა მანოლო სანჩისმა



კიდევ ერთი წლით გააგრძელა კლუბთან კონტრაქტი. ასევე მოიქცა ბრაზილიელი რობერტო კარლოსი, რომელიც აცხადებს, რომ „რეალში" დარჩება, სანამ... 35 წელი არ შეუსრულდება.
როგორც „რეალი" და თურქული „გენჩლერბირლიგი" შეთანხმდნენ, კამერუნელი მცველი ჯერემი ნჯიტაპი 4,75 მილიონი დოლარის ფასად სამეფო კლუბში გადავა.

## თქვენ რა, ბასლერს არ იცნობდით?

უკრაინელი მიმომხილველები ემდურიან იმ მეთვალყურეებს, რომლებიც კიევის „დინამოსთან" მატჩის წინ მიუნხენის „ბაიერნის" თამაშის შესასწავლად იყვნენ გაგზავნილი. კერძოდ, მათ სათანადო ყურადღება არ მიაქციეს ისეთ დიდ ოსტატს, როგორიც მარიო ბასლერია.
ბასლერი კი მარჯვენა ფრთაზე თავს მეფესავით გრძნობდა, აკეთებდა, რაც სურდა, გრძელი გარღვევები განახორციელა, მეტოქის გადაცემებიც ჩაჭრა, მისი გადაცემები ხომ იუველირული იყო. ისეთი გოლი გაიტანა, რომ, ნუ იტყვით...

## ულეგიონერებოდ სცდის

28 აგვისტოს ჰოლანდიის ნაკრები, რომელიც, როგორც ცნობილია, განთავისუფლებულია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისაგან, ამხანაგურ შეხვედრას გამართავს ამსტერდამში მაროკოელებთან.
ჰოლანდიელების მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა გადაწყვიტა ამ მატჩისათვის არ გამოიძახოს „ბარსელონაში" მოთამაშე. ლეგიონერები და იმ ფეხბურთელებით დაკომპლექტებული...

მაყოფილდეს, რომლებიც სამშობლოში, სხვადასხვა კლუბში გამოდიან.



## ბევრი დაფაცურდა

მას შემდეგ, რაც გამოცხადდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" განთქმული დანიელი მეკარე პეტერ შმეიხელი ამ სეზონის დამთავრების შემდეგ არავითარ შემთხვევაში ინგლისში აღარ დარჩება, ბევრი კლუბი დაფაცურდა.
როგორც ბარსელონას „ესპანიოლის" მწვრთნელმა მიგელ ანხელ ბრინდისიმ განაცხადა, იგი აუცილებლად შეეცდება შმეიხელთან მოლაპარაკების დაწყებას.

ა. ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

## ეს რომელი ჭაბუკია 15 მილიონად?

მიუნხენის „ბაიერნი" ამ სეზონს, ცხადია, ვერ დაემდურება. გერმანიის ჩემპიონობას რაღა უკლია. ამასთან, კლუბი ჩემპიონთა ლიგის ფინალშია.
ეს ყოველივე კარგი, მაგრამ გერმანელები მომავალ სეზონზეც ფიქრობენ. „ბაიერნის" ხელმძღვანელობას მეტად მოეწონა 17 წლის თავდამსხმელი როკე სანტაკრუსი და თანახმაა მასში პარაგვაის „ოლიმპიას" 15 მილიონი დოლარი გადაუხადოს.

## ალექს ფერგიუსონი – კიდევ 4 წლით

ცნობა, თითქოს „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი, შოტლანდიელი ალექს ფერგიუსონი ინგლისის ჩემპიონატის ნებისმიერი შედეგისა და ჩემპიონთა ლიგაში წარმატება-წარუმატებლობის მიუხედავად კლუბში დარჩენას არ აპირებდა, არ გამართლდა.

## ფრანგებს შეუყვარდათ ინგლისი

იყო დრო, როცა ინგლისში არცერთი ფრანგი ფეხბურთელი არ თამაშობდა. ახლა იქ ფეხბურთელიც ბევრია და მწვრთნელიც.
როგორც საფრანგეთის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა ფრანკ ლებეფმა განაცხადა, მან ლონდონის „ჩელსისთან" 2002 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი. და აქვე აპირებს კარიერის დამთავრებას.

## მეკარემ ბურთი გაიტანა, მაგრამ...

განთქმულმა მეკარე ხორხე კამპოსმა, რომელიც მექსიკურ კლუბ უ.ნ.ა.მ.-ში იმით გამოირჩევა, რომ ზოგჯერ გოლიც კი გააქვს, ერთხელ კიდევ გამოიჩინა თავი.
ამჯერად „სანტოსთან" შეხვედრაში ამ სეზონში მეორე გოლი გაიტანა.
მაგრამ ამჯერად კამპოსი კარში კი არ იდგა, არამედ მინდვრის მოთამაშე იყო.

# ვინ იქნება „სპარტაკის" მთავარი მეტოქე?

**რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა**

რუსეთის პირველობის ერთი თავისებურება ის გახლავთ, რომ შეჯიბრების კალენდარი თავიდანვე დაირღვა. კლუბებს მატჩების არათანაბარი რაოდენობა აქვთ ჩატარებული, ეს გარემოება კი არც გულშემატკივრებს უყვართ და არც, განსაკუთრებით... ჟურნალისტებს.
ის, რომ გათამაშებას სათავეში მოსკოვის „სპარტაკი" ჩაუდგა, რასაკვირველია, აღიქვა როგორც სრულიად ბუნებრივი მოვლენა. ჩემპიონი შარშანდელთან შედარებით კიდევ უფრო გაძლიერდა. ოლეგ რომანცევმა გაითვალისწინა, რომ დაცვა არც ისე საიმედოდ თამაშობდა და მოსკოვის „დინამოდან" მოიწვია გამოცდილი მცველი კოვტუნი. კოვტუნს ნიადაგ საფრთხე ემუქრება, მინდორი არ დაატოვებინონ, თორემ სხვა მხრივ საქმე კარგად აქვს. უზარმაზარი პაუზის შემდეგ, რაც ტრავმით იყო გამოწვეული, გუნდს დაუბრუნდა ნიჟიერი მოიერიშე ნახევარმცველი კეჩინოვი, გარდა ამისა „სპარტაკი" გააძლიერა ცნობილმა თავდამსხმელმა იურანმა.
„სპარტაკმა" მართლაც მშვენივრად აიღო სტარტი, ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო, აი, მეხუთეში კი საკმაოდ მოულოდნელად დამარცხდა „ტორპედოსთან" – 0-1. ეს ერთადერთი გოლი 68-ე წუთზე პენალტით თავდამსხმელმა დურნევმა გაიტანა.
მთელი გვიანი შემოდგომისა და ზამთრის განმავლობაში იყო დავა, დარჩებოდა თუ არა გიორგი იარცევი მოსკოვის „დინამოში", თუ ისევ „სპარტაკში" დაბრუნდებოდა, ასე ვთქვათ, მეორე როლის შესასრულებლად. იარცევმა მეტოქეები მოიგერია და „დინამოში" დარჩა. მან ერთ რამეს ნამდვილად მიაღწია: თუ შარშან მთელი სეზონის განმავლობაში თავდასხმაში ტერეხინი „იაქდ" თამაშობდა, ახლა „სპარტაკიდან" მოწვეულ მრავალნაცად, 30 წლის პისარევსაც აქვს თავისი პრეტენზიები, 22 წლის უკრაინელ რომაშჩენკოსაც და მის თანატოლ ნიგერიელ ლაკი იზიბორსაც. „დინამო" სტარტზე მატჩს მატჩზე იგებდა და, ზოგი მიმომხილველის აზრით, ამ სეზონში „სპარტაკის" სერიოზული მეტოქე იქნება. თუმცა, ეტყობა, ამაზე ჯერ ცოტა ადრეა ლაპარაკი.
შარშან, როგორც მოგეხსენებათ, იაროსლავლის „შინიკს" წარმატებით წვრთნიდა დავით ყიფიანი. სულ ცოტა ხანს გაძლო კლუბში სამარის „კრილია სოვეტოვიდან" გადასულმა ცნობილმა სპეციალისტმა ალექსანდრ ავერიანოვმა. მისი კარიერა ზამთრის პერიოდის ჩათვლით გაგრძელდა სულ... 5 თვეს.
იგი შეცვალა მეორე მწვრთნელად მომუშავე ალექსანდრ პობეგალოვმა, ფეხბურთში არც ისე ცნობილმა პიროვნებამ. ამასთან „შინიკის" ვიცე-პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება: „ნურვინ იფიქრებს, თითქოს ეს დროებითი კანდიდატურაა, პობეგალოვი დიდხანს იმუშავებს...
ჯერჯერობით კარგად გამოიყურება ჩემპიონატის დებიუტანტი „სატურნი" მოსკოვთან ახლოს მდებარე ქალაქ რამენსკოედან. ცნობილმა მწვრთნელმა სერგეი პავლოვმა ადრე დაიჭირა თადარიგი, ვორონეჟის „ფაკელიდან" მიიწვია დიდად გამოცდილი ნახევარმცველები, 33 წლის ტყუპი ძმები ალექსეი და ოლეგ მოროზოვები. გაამაგრა სხვა ხაზებიც: საინტერესოა, რომ ამ კლუბში თამაშობს 38 წლის სერგეი ნატალუშკო და... გოლებიც გააქვს.
ახლა ზოგი რამ იმ კლუბების შესახებ, რომლებშიც ქართველი ფეხბურთელები გამოდიან. ყველაზე მეტი, ტრადიციულად, სოჭის „ჟემჩუჟინაშია". აქ ოთხი მეკარიდან ორი ქართველია: 20 წლის დავით ხმელიძე აქვე, სოჭშივე თამაშობდა, ხოლო 17 წლის კრისტიან ცხადაია კრასნოდარის „კუბანიდან" გადავიდა. დაცვაში გამოდის უკვე საკმაოდ გამოცდილი ალექსანდრე გელაძე (1972), რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ თბილისის „დინამოში" თამაშობდა, 33 წლის გენადი ბონდარუკი, ასევე დიდხანს ჩვენთან რომ გამოდიოდა და 27 წლის კონსტანტინე ზამბახიძე „დინამო" – „ჟემჩუჟინა-2"-დან. შუა ხაზზე ძირითადი მოთამაშეა სარატოვის „სოკოლიდან" გადაყვანილი გიზო ჯელაძე (1975), ამავე რგოლში ცდის ძალას 18 წლის დებიუტანტი დავით მიქაძე, ხოლო გიორგი გოგიაშვილი (1971) წინ გადაიყვანეს და მრავალნაცად გოჩა გოგრიჭიანს (1964) უმაგრებს მხარს. გოჩას „ჟემჩუჟინას" შემადგენლობაში ადრე 30 გოლი ჰქონდა გატანილი და ახლაც ძირითად დამკვრელ ძალად ითვლება.
ზაზა ჯანაშიაზე ყოველთვის ბევრი იწერება. წინა სამ სეზონში მან რუსეთის ჩემპიონატებში მოსკოვის „ლოკომოტივის" შემადგენლობაში 85 მატჩში 20 გოლი გაიტანა. „ურალანში" (ელისტა) გამოჩნდა 21 წლის მცველი ირაკლი გემაზაშვილი, რომელიც შარშან თბილისის „არსენალში" თამაშობდა. „ალანიაში" (ვლადიკავკაზი) ამჟამად მეკარე სოსო გრიშიკაშვილი (1972) და მცველი გია ჩხაიძე (1970) შემცვლელებად ითვლებიან, მცველი მამუკა წერეთელი (1979) და თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე (1976) კი ძირითადი შემადგენლობის წამყვან მოთამაშეებად. დემეტრაძემ შარშან თხუთმეტ კალენდარულ მატჩში 14 გოლი გაიტანა. ამ მონაცემების გაუმჯობესება, ალბათ, პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ გიორგიმ, რომლის კარგ მზადყოფნას ახლა ყველა აღნიშნავს, ჩინებული გოლი გაიტანა „როტორის" კარში. ნახევარმცველი ბადრი სპანდერაშვილი (1969), რომელსაც ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის" შემადგენლობაში ადრე 11 გოლი აქვს გატანილი, კვლავ ამ გუნდის შემადგენლობაში რჩება. ალექსანდრ ტარხანოვმა სამარის „კრილია სოვეტოვის" შემადგენლობა გადაახალისა, სადაც თავისი მტკიცე პოზიციები შეინარჩუნეს როგორც მცველმა ზურაბ ფოჩხაძემ (1972), რომელიც გუნდის კაპიტანიც გახლავთ, ისე, თავდამსხმელმა ზურაბ წიკლაურმა (1974), გასულ სეზონებში ამავე გუნდში 20 გოლის ავტორმა.

**ბიჭი თორელი**

## უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

● **შემოდგომაზე** ლევ იაშინის ფონდის მოწვევით შეიძლება მოსკოვში ჩავიდნენ პელე, ეუსებიო და ბეკენბაუერი სახელოვანი რუსი მეკარის 70 წლისთავთან დაკავშირებით. საფეხბურთო მატჩზე, რომელიც იაშინის ხსოვნას მიეძღვნება, 15 ოქტომბერსაა დაგეგმილი.

● **ბალკანეთში შექმნილი სიტუაცია და რუსეთში ამის გამო შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება მოიმიზეზა მარსელის „ოლიმპიკის" ხელმძღვანელობამ და მოითხოვა 12 მაისს მოსკოვში ლუჟნიკებში დანიშნული უეფას თასის ფინალური მატჩი „პარმასთან" გადაეტანათ ევროპის სხვა ქვეყანაში. უეფას აღმასკომმა უარყო ეს თხოვნა, როგორც უსაფუძვლო.**

● **რუსეთის** საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში ბომბარდირთა შორის მეოთხეა „სპარტაკ-ორეხოვოს" ფეხბურთელი ვასო სეფაშვილი, რომელსაც, ისევე როგორც სერგეი იაკოვენკოს („ამკარი") გატანილი აქვს 3 გოლი. პირველ ადგილზეა ბრაზილიელი ლეგიონერი ანდრადინა („არსენალი") 5, მეორეა ვალერი სოლიონიკი („კრისტალი") — 4.

# ტურნირი სახელოვანი მეკარის თასზე

ამ რამდენიმე ხნის წინათ ზუგდიდში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის (1986-87 წლებში დაბადებულნი) ჩვენი სახელოვანი მეკარის ოთარ გაბელიას თასზე. ტურნირში, რომლის მთავარი მსაჯი გახლდათ ჯემალ გოგია, მონაწილეობდნენ: თბილისის „ავაზა-86" (მწვრთნელი – გიორგი ანდღულაძე), „ავაზა-87" (მამუკა მესხი), ქუთაისის „ტორპედო" (ზაურ ბზიკაძე, ომარ ბზიკაძე), ბაქოს ასკ (ჩინგიზ აზიმოვი), ზუგდიდის გუნდები: „ოდიში" (ოთარ თუთბერიძე, ოთარ ძალამიძე), „ოდიში-1" (ზაურ ბულია), „ოდიში-2" (გერონტი ნაჭყებია), „ლაზიკა" (თამაზ როგავა, ბორის გუგუჩია), „მეგრი-99" (გიორგი კალანდაძე, კობა ჭაჭუა).
საბოლოოდ, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „მეგრი-99"-ისა და „ავაზა-86"-ის გუნდები და მინიმალური ანგარიშით 1-0 გამარჯვება ოთარ გაბელიას თასთან ერთად სტუმრებს ხვდა წილად. მესამე ადგილისათვის მატჩში „ოდიში-2"-მა სძლია „ტორპედოს" – 2-0.
აღსანიშნავია, რომ ლაურეატებთან ერთად ტურნირის ყველა მონაწილე გუნდი დაჯილდოვდა ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული დიპლომებითა და სიგელებით. მრავლად იყო ინდივიდუალური პრიზებიც, რომლებიც ერგოთ: საუკეთესო მეკარეს – ლაშა ლორიას („ავაზა-86"), საუკეთესო მცველს – ელჩინ ჯიბრაილოვს (ასკ, ბაქო), საუკეთესო ნახევარმცველს – ვახტანგ მაქაცარიას („მეგრი-99"), საუკეთესო თავდამსხმელს – ილია მალლაკელიძეს („ავაზა-86"), საუკეთესო ფეხბურთელს – გიორგი რეხვიაშვილს („ავაზა-86"), ტექნიკურ მოთამაშეს – თემურ ზაქარაიას („ოდიში-2"), პერსპექტიულ მოთამაშეს – დავით ჭკადუას („ლაზიკა"). მაყურებელთა სიმპათიის პრიზი გადაეცა გელა ჩხეტიას, ხოლო 7 გატანილი გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ზურაბ გვამბერაძე („ტორპედო").

* * *

**ახლახანს** დასრულდა 1998-99 წლების სამეგრელოს რეგიონის თასის პირველი გათამაშება, რომლის ფინალშიც ერთმანეთს შეხვდნენ „ჩელა" (დარჩელი, ზუგდიდის რაიონი) და „მერცხალი" (ლესიჭინე, ჩხოროწყუს რაიონი). დიდი ანგარიშით 4-1 გამარჯვება „მერცხალმა" (ივერი სიჭინავა, ლერი ხოფერია) მოიპოვა, რომელსაც გარდამავალი თასი და სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის დიპლომები გადაეცა.

# ჯანაშია დისკვალიფიცირებულია

**ნიჟნი-ნოვგოროდელ თანაკლუბელებთან მატჩში მოსკოვის ლოკომოტიველი და ქართველი ლეგიონერი ზაზა ჯანაშია უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გააძევეს და ახლა იგი სამ მომდევნო შეხვედრას გამოტოვებს რუსეთის ჩემპიონატში, რაც იმას ნიშნავს, რომ გულშემატკივრები კლუბში მის თამაშს 15 მაისამდე ველარ იხილავენ. ამ სამიდან ერთი მატჩი მოსკოველებს შინ ექნებათ „სატურნთან", ორს კი სტუმრად ითამაშებენ „ჟემჩუჟინასთან" და „ჩერნომორეცთან", როგორც ვთქვით, უ... ჯანაშიით.**

# ორ თვეში – მსოფლიოს ორ ჩემპიონატში!

ამ დღეებში სამარაში, რუსეთის მოჭადრაკეთა მეექვსე ყრილობას ესწრებოდა ფიდეს დირექტორ-აღმასრულებელი ემანუილ ომუკუ, რომელმაც დამსწრეთ გააცნო მსოფლიო ჩემპიონატებთან დაკავშირებული სიტუაცია.

ომუკუს სიტყვით, ფიდე, ავად თუ კარგად, დაამთავრებს მსოფლიო ჩემპიონატის ძველ ციკლს, საიდანაც მხოლოდ გადამწყვეტი მატჩიღა დარჩა ჩასატარებელი ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონ ჟუჟა პოლგარსა (უნგრეთი) და პრეტენდენტს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სიე ჟუნს (ჩინეთი) შორის. მისი გამართვის ვადა ივნის-ივლისია, თუმცა შეხვედრის დაწყების ზუსტი თარიღი ჯერაც არ არის დადგენილი (როდის დაადგენენ?). პირობები ტრადიციულია — 16 პარტია. ჩემპიონს ყაიმით (8:8) დამთავრებაც აძლევს ხელს, სიე ჟუნმა კი წოდების მოსაპოვებლად აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს. თუ სად გაიმართება ეს შეხვედრა ან რამდენი იქნება საპრიზო — ფონდი, კვლავინდებურად გარკვეული არ არის. ერთი ნაკლებად სასიამოვნო ამბავი მაინც გახდა ცნობილი — თუ რომელიმე მონაწილე თამაშზე უარს იტყვის (იგულისხმება — პოლგარი), მაშინ მას ალისა გალიამოვა შეცვლის.

ჩვენთვის ეს მატჩი, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა. მართალია, პრეტენდენტთა უკანასკნელი ასპარეზობის შემდეგ ქართველი მოჭადრაკეები მსოფლიო პირველობის მიღმა დარჩნენ, მაგრამ იმას, ვინ იქნება ივნის-ივლისში გამარჯვებული, არ შეიძლება პრინციპული მნიშვნელობა არა ჰქონდეს.

ომუკუმ, მართალია, არც ისე დამაჯერებლად, განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა შორის 100 დიდოსტატის მონაწილეობით 28 ივლისს ლას-ვეგასში (აშშ) გაიხსნება და 29 აგვისტომდე გასტანს. როგორც გახსოვთ, პირველ ასეთ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც გრონინგენში (ჰოლანდია) ჩატარდა და ფინალური მატჩი კი ჟენევაში (შვეიცარია) მოეწყო, საქართველოდან მონაწილეობდნენ ზურაბ აზმაიფარაშვილი (რომელმაც ჩინებულად ითამაშა და 16 უძლიერესთა შორის მოხვდა) და გია გიორგაძე. წლეულს ჩემპიონატში აზმაიფარაშვილთან ერთად მიწვეულია მაია ჩიბურდანიძეც, ისევე, როგორც კიდევ ორი გამოჩენილი დიდოსტატი ქალი: დები ჟუჟა და იუდით პოლგარები. მაიასათვის ამ შეჯიბრებას, ცხადია, წმინდა სავარჯიშო მნიშვნელობა ექნება, რადგან უკვე სექტემბერში მას მოელის ქალთა ახალ მსოფლიო ჩემპიონატში თამაში, ამჯერად უკვე ოლიმპიური სისტემით, 64 დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით ერთი სიტყვით, სულ რაღაც ორ თვეში მაია მსოფლიოს ორ ჩემპიონატში ითამაშებს — მართლაც არნახული ამბავია.

აი, ომუკუს ორი განცხადება: „ფიდეს არ შეუძლია აბსოლუტურად ყველა მონაწილის ინტერესი დააკმაყოფილოს, თუნდაც იგი მსოფლიო ჩემპიონი იყოს“. აქ იგულისხმება, რომ ანატოლი კარპოვს ფიდეს მიმართ რაიმე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. „მხოლოდ ფიდე წარმოადგენს მსოფლიო ჭადრაკს, ისევე, როგორც ფიფა-ფეხბურთს, სოკი — საერთოდ ოლიმპიურ სპორტს. ჩვენი აზრით, მსოფლიო ჩემპიონი კარპოვია“. ერთი სიტყვით, ფიდე არა სცნობს გარი კასპაროვს, რამდენი ტურნირიც უნდა მოიგოს.

## მოკლედ...

● მძლეოსნობა. ზემარათონი (100 კმ) ვაჟებს შორის, რომელიც რუსეთის ჩემპიონატის პროგრამით ჩატარდა, მოიგო ანატოლი კრუგლიკოვმა — 6:36,42, მეორე იყო ალექსანდრ მოტორინი — 6:45.43, მესამე — ფარიტ განიევი — 6:48.54. *ქალები:* 1. ელვირა კოლპაკოვა — 7:47.14, 2. ელენა ბიკულოვა — 7:53.09, 3. ირინა რეუტოვიჩი — 8:19.32. *50 კმ. ვაჟები:* 1. ანატოლი კორეპანოვი — 2:58.06, 2. ვიქტორ მიშერიაკოვი — 2:58.52, 3. არტურ ფეოფანოვი — 3:02.15. *ქალები:* 1. სვეტლანა სავოსკინა — 3:39,25, 2. ტატიანა არინოსოვა — 3:51,57, 3. ზოია კაზარინოვა — 3:55,14.

● ცნობილი ველომრბოლი რიჩარდ ვირენკი სტეროიდების მიღებაში ამხილეს. შარშან ტურ დე ფრონსზე ამტყდარი სკანდალის გამო კი ძიება გრძელდება. ვირენკი ყველა ჩვენებაში უარყოფს დოპინგის გამოყენებას.

● XX საუკუნის ლეგენდარული სპრინტერი კანადელი ბენ ჯონსონი კი ადვოკატის მეშვეობით კვლავ იბრძვის სარბენ ბილიკზე დასაბრუნებლად. შეგახსენებთ, რომ ჯონსონი დოპინგის მიღებაში სეულში ამხილეს, მას შემდეგ, რაც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და ხუთი წლით მისცეს დისკვალიფიკაცია. 1993 წელს კვლავ „ჩაავლეს“ და საერთოდ აეკრძალა შეჯიბრებებში გამოსვლა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ სასჯელის გამოტანისას დარღვეულია პროცესუალური ნორმები და სჯერა, რომ კლიენტს გაამართლებს.

● „ნაგანო ჩემი ტკივილია“ — განაცხადა გრეცკიმ დიდი ჰოკეიდან წასვლისას. გულისტკივილი გასაგებია — გრეცკის ბოლო შანსი ჰქონდა გამხდარიყო ოლიმპიური ჩემპიონი.

● ბორის ბეკერმა მონტე კარლოში მიმდინარე ტურნირი მიატოვა და შინ დაბრუნდა — მოულოდნელად გარდაეცვალა მამა.

## მოკლედ...

### მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**27 აპრილი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ასპარეზი (22.20). ***II არხი.*** სუპერმატჩი (21.20), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიო სტადიონებზე (12.15, 19.45). ***HTB плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატი (13.15, 17.00, 21.30). გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილა (16.00), იტალიის ჩემპიონატი (17.00), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.30, 1.05), რობერტო ბაჯო (23.00). ჩემპიონთა ლიგა. „იუვენტუსი“ (იტალია) – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (23.20). ***HTB плюс спорт.*** „ბილიარდის მეფეები“ (20.20), ჰოკეი (ნხლ) – 20.50, 0.50. ***ESPN.*** ჰოკეი ნხლ (3.30, 6.20, 23.00), ფეხბურთი: ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (12.00, 12.30) „ჩელსი“ – „შეფილდ უენსდეი“, ჰოლანდიიდან – „ფეიენოორდი“ – „ნაკი“ (14.30), უეფა. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.00), ჰოკეი, ნხლ (23.00). ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (11.30), ძალოსნობა, ევროპის ჩემპიონატი (13.00), ფეხბურთი, ევროგოლი (15.00, 20.30), „მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები“ (2.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (4.00).

**28 აპრილი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო – ნორვეგია (20.55), იბერია. ბურთი და მოედანი (8.55, 19.55), კავკასია. „ვარსკვლავები“ (21.00). ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი. ამხანაგური შეხვედრა: ხორვატია – იტალია (23.40). ***HTB плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.30), სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (16.15), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.45), ჰოლანდიის ჩემპიონატი (19.10), იტალიის ჩემპიონატი (20.50), ამხანაგური შეხვედრა: ხორვატია – იტალია (21.40), ევრო-2000-ის შესარჩევი მატჩი: საქართველო – ნორვეგია (23.45). ***HTB плюс спорт.*** „ბილიარდის მეფები“ (15.35). ***ESPN.*** ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (3.30, 14.00), კალათბურთი. ნბა. (4.00, 18.30), ინგლისის პრემიერ-ლიგის მიმოხილვა (16.00). საერთაშორისო შეხვედრა: ბრაზილია – ბარსელონა (23.00) პირდაპირი ტრანსლაცია. ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლი (11.30).

**29 აპრილი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00). ***HTB плюс футбол.*** ჰოლანდიის ჩემპიონატი (13.15, 23.10). „მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები“. რობერტო ბაჯო (15.00). ამხანაგური მატჩი: ხორვატია – იტალია (15.20), ევრო-2000-ის შესარჩევი მატჩი: საქართველო – ნორვეგია (17.15), შოტლანდიის ჩემპიონატი (19.20), ევროპის საფეხბურთო კვირეული (21.05), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.05). ***HTB плюс спорт.*** კარატე. საერთაშორისო ტურნირი (18.50). ***ESPN.*** ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების ყოველკვირეული მიმოხილვა (17.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: ფეხბურთის ლეგენდები (15.00), ევრო-2000-ის საკლასიფიკაციო შეხვედრები (1.00).

**30 აპრილი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00). ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (23.00, 0.00), ***HTB плюс футбол.*** შოტლანდიის ჩემპიონატი (13.15, 19.15), ევროპის საფეხბურთო კვირეული (15.00), ჰოლანდიის ჩემპიონატი (17.00), ბრაზილიის ჩემპიონატი (21.05), გერმანიის ჩემპიონატი (22.55). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (12.30), ფეხბურთი: საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა: ბრაზილია – ბარსელონა (16.00), უეფა. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (21.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევრო-2000 შესარჩევი მატჩები (15.00, 20.00), სამთო ველოსპორტი. მსოფლიოს თასი (4.00).

**1 მაისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: ლოკომოტივი – სამგურალი (18.00). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.35). ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი: გერმანიის ჩემპიონატი (18.30), ინგლისის ჩემპიონატი (22.05), ესპანეთის ჩემპიონატი (0.00). ***ევრიკა.*** „სტუმარი“ (19.45), ***HTB плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.55, 18.25). ბრაზილიის ჩემპიონატი (15.50), ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (20.55), ინგლისის ჩემპიონატი (21.55), ესპანეთის ჩემპიონატი (23.55), ***HTB плюс спорт.*** კარატე. საბრძოლო ხელოვნების ფესტივალი (16.35). ცხენოსნობა. დოღი. კენტუკი დერბი (1.30). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. (4.00, 12.00). ფეხბურთი: ევროპის საფეხბურთო მიმოხილვა (7.30), საერთაშორისო შეხვედრა: ბრაზილია – ბარსელონა (10.00), ინგლისის პრემიერ-ლიგა (17.30, 18.00, 20.00). ცხენოსნობა (22.00), ***EUROSPORT.*** ავტოსპორტი. „ფორმულა-3000“ (22.00), სუმო, იაპონიიდან (23.00), ცხენოსნობა, (0.00).

**2 მაისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (20.00, 0.30). ***ევრიკა.*** კვირის სპორტი (16.15). ***PTP.*** ფეხბურთი: „ტორპედო“ – „ალანია“ (18.55), „სპარტაკი“ – „ჩერნომორეცი“ (17.30). ***HTB плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15), სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.30), ესპანეთის ჩემპიონატი: (15,55), იტალიის ჩემპიონატი (19.55, 0.30), ინგლისის ჩემპიონატი, „არსენალი“ – „დერბი ქაუნთი“ (22.00). ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის პრემიერლიგა (6.30, 7.00, 9.00, 13.30, 18.30, 19.00), ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეული მიმოხილვა (22.30), საერთაშორისო შეხვედრა: ბრაზილია – ბარსელონა (23.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. „ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები“ (17.00), მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (0.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00), სუმო. იაპონიის დიდი ტურნირი (3.30).



## „ტოტო-ლოტო“ – მილიონთა თამაში!

*25 აპრილს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მეთექვსმეტე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**5. 21. 24. 30. 34. 42.**
3 ციფრი - 1.80 ლარი.
4 ციფრი - 15.70 ლარი.
5 ციფრი - 542.30 ლარი
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო, გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

**„ჯეკ-პოტი“ 30 542 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7“**-ის მომგებიანი ციფრებია: **1. 3. 1. 1. 5. 8. 4.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 2 მაისს.

ტირაჟის დროს გათამაშდა მომენტალური ლატარიების „გოლი 98“-ის და „ოლიმპი“-ს მოუგებელ ბილეთებზე ფულადი და ნივთობრივი მოგებები, რომლებიც წილად ხვდა: ლატარია „ოლიმპ“-ში – ნათელა მაქაცარიას (ზუგდიდი) – ელექტრო ჩაიდანი ბილეთის №082634 რევაზ ბელქანიას (თბილისი) – ყავის საფქვავი ბილეთის №080801.
ლატარია „გოლი 98“-ში – ნათია თორაძეს (თბილისი) – 50 ლარი. ბილეთის №03904-020.
თამარ გუგეშაშვილს (გურჯაანი) – მაჯის საათი. ბილეთის №03989-066.
ამასთან ერთად გამარჯვებულებს გადაეცემათ აღნიშნული ლატარიების ბილეთების კომპლექტები. პრიზები გაიცემა ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის ოფისში.
მის: ყ.შარტავას ქ. №40.
„გოლი 98“-ის და „ოლიმპ“-ის მოუგებელ ბილეთებზე პრიზების გათამაშება გაიმართება ყოველ კვირა დღეს!

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

## 181781 ლარი – ნოემბრიდან აპრილამდე

### ასეთი სოლიდური ჯეკ-პოტი საქართველოს ლატარიებში სარეკორდოა!

*საქართველოს სპორტის ეროვნულმა ფონდმა ერთი წლის წინ შვედეთის ფირმა „ლიტრებ აბ“-სა და ინგლისურ „ჯონსონ ჰოლდინგ“-თან ერთად დააფუძნა ლატარია „ტოტო-ლოტო“, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია პოპულარული.*

*„ლოტო 6-42“ დან, თანმხლები თამაშით „სუპერ-7“ „ტოტო-ლოტოს“ ერთ-ერთი სახეობის ლატარიაა, რომელიც ელექტრონულ-კომპიუტერული სისტემით, ბილეთების ავტომატიზებული დამუშავებით გამორიცხავს ყოველგვარ გაუგებრობას ბილეთების აღრიცხვის, რეგისტრაციის, დამუშავების და მოგებების გაცემის საკითხებში.*

*ამ ერთი წლის მანძილზე „ლოტო 6-42“-ში მრავალი სოლიდური მოგება და პრიზია გაცემული. ნოემბერში 27-ე ტირაჟში გათამაშდა ჯეკ-პოტი – 135 000 ლარი, რომელიც ყველაზე დიდი მოგებაა საქართველოს ლატარიების ისტორიაში. გამარჯვებულს პირად ანგარიშზე გადაერიცხა მოგებული თანხა.*

*არ გასულა რამდენიმე თვე და, ერთი კვირის წინ, კვლავ გათამაშდა ჯეკ-პოტი, ამჯერად 46 785 ლარი.*

*ბედნიერი მოთამაშე მეორე დღესვე გამოცხადდა ფონდში. თბილისელი ინჟინერია, რომელსაც ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. იგი ადრე „სპორტლოტოს“ აქტიური მოთამაშე ყოფილა და საკმაოდ დიდი თანხებიც ჰქონია მოგებული. „ტოტო-ლოტოს“ კი დაარსებიდან თამაშობს. მას ძალიან მოსწონს ეს ლატარია უტყუარობისა და საიმედოობის გამო. ერთი საიდუმლოც გაგვანდო. იგი თურმე მხოლოდ თავის საყვარელ რამდენიმე ციფრსა და მათ კომბინაციებს ხაზავს და, რაც მთავარია, ყოველ ტირაჟზე ავსებს ბილეთებს. სისტემატური თამაში მოგების უცილობელი პირობაა, – აცხადებს იგი.*

*ინვესტორებმა შემდგომი ტირაჟისათვის საწყისი „ჯეკ-პოტი“ კვლავ 30 000 ლარი დააწესეს. თუ როგორი ტემპით გაიზრდება ეს თანხა, მოთამაშეებზეა დამოკიდებული. რაც მეტი მოყვარული ითამაშებს, მით მეტი იქნება ექვს ციფრზე მოსაგები თანხა.*

*ასე რომ, ყველას გირჩევთ ითამაშოთ „ტოტო-ლოტო“. როგორც ხედავთ ერთ წელიწადში ორი ჯეკ-პოტი გათამაშდა. ითამაშეთ და მოიგეთ!*





**გრძელდება ხელმოწერა 1999 წლის II ნახევრისათვის**

**გამოიწერეთ**



### საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. კa5 მფg5 2. კd2 მფg4
3. კc1 მფg5 4. მფf3X.

## კროსვორდი




*კროსვორდის (მხოლოდ შვეულად) სწორედ ამოხსნისას ჰორიზონტალზე იკითხება ქართველი დიდოსტატის გვარი.*

1. ჩეხი ტანმოვარჯიშე ქალი, ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიადების აბსოლუტური ჩემპიონი. 2. ბრაზილიელი ფორვარდი, მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი. 3. ბილიარდის ნაირსახეობა. 4. ლეგენდარული მექსიკელი მეკარე. 5. ქართველი ფეხბურთელი და მწვრთნელი. 6. მინსკის „დინამოს“ და სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი. 7. გამოჩენილი ფინელი ფეხბურთელი. 8. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი 1896-1925 წლებში. 9. ქართველი მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი. 10. რუსი ტანმოვარჯიშე ქალი, მიუნხენის ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი. 11. მდგომარეობა ჭადრაკის დაფაზე. 12. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის. 13. „დიდი სლემის“ ერთ-ერთი ტურნირის ჩატარების ადგილი. 14. ესპანელი ჩოგბურთელი ქალი.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

1. ვილდე, 2. კორდობა (თარაზულად), 2. კამპოსი (შვეულად), 3. ნაკისა, 4. ჰესპი, 5. ივიცა, 6. დიდა, 7. ვალე, 8. ჩილავერტი, 9. სარი, 10. შმეიხელი, 11. სუბისარეტა, 12. უნი, 13. კონსელი, 14. ფრიდელი, 15. როა, 16. კიოპკე, 17. როკი, 18. ტაფარელი (თარაზულად), 18. ტაპია (შვეულად), 19. კრალი, 20. სიმენი, 21. ლადიჩი, 22. ლამა, 23. ჯი, 24. კამრი, 25. როკი, 26. გუი, 27. სტინგაჩუ, 28. მიხაელი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე